შირაქი

SHIRAKI

www.opentext.ge

№9 (9.525)

23 მარტი 2012 წელი

ფასი 50 თეთრი

ყოველკვირეული გამოცემა

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

გამოდის 1937 წლიდან

საპილოტე პროექტები იწყება

კავკასიის გარემოსდაცვითი ორგანიზაციების ქსელი, სხვადასხვა დონორ ორგანიზაციებთან (REC, USAID) ერთად, უკვე მესამე წელია, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში ახორციელებს კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებულ გარემოსდაცვით პროექტებს. ერთ-ერთი ასეთი პროექტია „კლიმატის ცვლილების ადაპტაცია და ბუნებრივი კატასტროფების რისკის შემცირება.“ ჩატარებული კვლევების შედეგად გამოვლინდა უამრავი პრობლემა, რომელიც ძველი სისტემის ნგრევით და გლობალური დათბობის შედეგებითაა განპირობებული. ამ ცოტა ხნის წინ ჩატარდა CENN-ის წარმომადგენლების შეხვედრა დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობასთან დედოფლისწყაროში არსებული პრობლემების განხილვის და შესაძლო პრევენციული ღონისძიებების გატარების შესაძლებლობათა გამოვლენის მიზნით. შეხვედრის შემდეგ, საპილოტე პროექტის ღირებულების ფარგლებში, განსახორციელებელ საკითხად შეირჩა კერძო მოსახლეობის სარგებლობაში არსებული საძოვრების თემა.

21 მარტს CENN-ის საზოგადოებასთან ურთიერთობის სპეციალისტი რეზო გეთიაშვილი, პროექტში მოწვეულ ექსპერტთან ელიოზ ხაჭაპურიძესთან ერთად,პროექტის დეტალების დაზუსტების მიზნით, კვლავ შეხვდა დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობას. შეხვედრაში მონაწილეობდნენ: დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ლევან ბაღაშვილი, საკრებულოს თავმჯდომრის მოადგილე ზაზა ფიროსმანაშვილი და საკრებულოს აგრარულ საკითხთა, გარემოს დაცვისა და ქონების მართვის კომისიის თავმჯდომარე გელა თეთრაული. ბატონმა რეზო გეთიაშვილმა მოკლედ ისაუბრა პროექტის მიზნებზე და სავარაუდოდ განსახორციელებელ საქმიანობებზე. ბატონმა ელიზბარ ხაჭაპურიძემ კი დედოფლისწყაროში არსებული საძოვრების ახლანდელი მდგომარეობა და ზოგადად, მათი მართვის თანამედროვე მეთოდები მიმოიხილა. როგორც გაირკვა, დღეისთვის არ არსებობს საერთო სარგებლობის საძოვრების საკუთრების ფორმის იურიდიული საფუძველი. ამ საკითხზე, პროექტის ფარგლებში, მიმდინარეობს მოლაპარაკება ეკონომიკის სამინისტროსთან.

იმავე დღეს მოეწყო შეხვედრა ქალაქ დედოფლისწყაროში საერთო სარგებლობის საძოვრით მოსარგებლეთა ჯგუფთან, რათა პირადად, მათგან მიეღოთ ინფორმაცია არსებული პრობლემებზე, რომლებიც აუცილებლად იქნება გათვალისწინებული პროექტის პრიორიტეტებში. როგორც ყოფილმა აგრონომმა ჯემალ ყოჩიაშვილმა აღნიშნა, ე.წ. „ქოჩების“ საძოვარზე ორი ნახირი ბალახობს,დაახლოებით 400-მდე სული, ძალზე დიდი პრობლემაა საქონლის დასალევი წყალი. საძოვართან არსებობს წყარო,რომელიც წყლის სიმცირის გამო სრულად ვერ აკმაყოფილებს მოთხოვნას, თანაც ამ წყაროთი ახლომდებარე ფერმების საქონელიც სარგებლობს, ეს კი უფრო ართულებს მდგომარეობას. მოქალაქე კაენ ბაცაცაშვილმა საძოვრის გადასარეკ ტრასასთან სიახლოვის გამო გადაძოვების პრობლემაზე გაამახვილა ყურადღება, საძოვარი იმდენადაა გადატვირთული, რომ საქონელი სრულფასოვნად ვერ იკვებება და ხშირად ქარსაცავებსა და ნათეს ფართობებში გადადის საბალახოდ.

— „რა ვქნათ, მართალია, ქალაქში ვცხოვრობთ, მაგრამ პენსიონერები ვართ, რაღაც ხომ უნდა ვაკეთოთ, ძროხას ვუვლით, ჩვენ იმას ვაქმევთ ,ის ჩვენ გვაქმევს, შვილები და შვილიშვილები რომ გვესტუმრებიან რაღაცით ხომ უნდა გავუმასპინძლდეთ? ყოველთვის გვაქვს ყველი, რძე, მაწონი, ჩვენი საარსებო წყარო ეგ არის...“ — აღნიშნეს დედოფლისწყაროელებმა.

(გაგრძელება მე-3 გვ)

ახალი სისხლი — სკოლებს!

დედოფლისწყაროს რამდენიმე საჯარო სკოლის ირგვლივ გასულ კვირას მოვლენები უცნაურად ვითარდებოდა. სოფელ ზემო მაჩხაანის საჯარო სკოლის კანცელარიაში გაჩენილ ხანძარს რაიონში დიდი აჟიოტაჟი მოჰყვა.

აქტიურად ვრცელდება ხმები, რომ ინციდენტი დირექტორის წინააღმდეგ იყო მიმართული და სულ მალე მისი გათავისუფლება იგეგმება. დასახელდა სავარაუდო კანდიდატურაც - ალიკო ნატროშვილი. დაძაბულობა იყო ასევე ქალაქ დედოფლისწყაროს №2 და სოფლების: ქვემო ქედისა და ფიროსმანის საჯარო სკოლების დირექტორების ირგვლივაც. დედოფლისწყაროს №2 და ასევე სოფლების ქვემო ქედისა და ფიროსმანის სკოლებში დირექტორების გათავისუფლებას ოფიციალურად ადასტურებენ.

როგორც მაჩხაანის საჯარო სკოლის დირექტორი ნეჟნა ჩუბინიძე გაზეთ „შირაქთან“ საუბრისას აცხადებს, სკოლის შენობაში ცეცხლი შემთხვევით არ გაჩნდებოდა. ჩუბინიძე მიიჩნევს, რომ ხანძარი დირექტორის წინააღმდეგ მოწყობილი პროვოკაცია იყო.

„თუ როგორ გაჩნდა ცეცხლი კანცელარიაში, ამას გამოძიება იტყვის. ძირითადად დოკუმენტაცია დაიწვა და ცეცხლის ჩაქრობა დროულად მოხერხდა. საბედნიეროდ, არც ერთი საბუთი ისე არ განადგურებულა, რომ რაიმე ინფორმაცია დაკარგულიყო. ამ საკითხში ბუღალტრის ბრალეულობას გამოვრიცხავ. მას ვენდობი და ზუსტად ვიცი, რომ არანაირი ინტერესი არ ექნებოდა. არანაირი მიზეზი არ ჰქონდა იმისთვის, რომ ბუღალტერს საკუთარი ქმედებების დასაფარად დოკუმენტაცია დაეწვა. გამოძიებასაც ეს ვუთხარი. საკმაოდ სუფთა ბუღალტერია გვაქვს და ამაში ბოლომდე ვარ დარწმუნებული. ერთადერთი შეფასება, რაც შეიძლება მომხდარს მიეცეს, ისაა, რომ ეს ყველაფერი იყო შანტაჟი! თუკი მომხდარის ირგვლივ ვინმე სიმართლის გარკვევით არის დაინტერესებული, ერთ-ერთი მე ვარ. ყველაზე მეტად მე მაინტერესებს, ვისგან მოდის ეს ინციდენტი და რას უკავშირდებოდა დოკუმენტების განადგურების მცდელობა. ფაქტია ისიც, რომ ცეცხლი შემთხვევით ვერ გაჩნდებოდა, რადგანაც იმ ოთახში არც ღუმელი გვიდგას.

გამოძიებამ დაამტკიცა და ეს ერთი შეხედვითაც ჩანდა, რომ საბუთებს დიზელის

(გაგრძელება მე-3 გვ)

პრომო-აქცია პირველ სკოლაში

გვ.2

მომრავლებული მგელი და მტაცებლის ტყავის რეალიზების პრობლემური საკითხი

გვ.5

ყველაზე სანდო წყარო დედოფლისწყაროში მიმდინარე მოვლენების შესახებ!

- ახალი ინფორმაცია
- სამართლებრივი აქტები
- აუქციონი
- ტენდერი – ყველაფერი მხოლოდ ჩვენთან!

ის, რასაც სხვაგან ვერ წაიკითხავთ!

www.dedoplistskaro.ge

C M Y K

ფრომო-აქცია პირველ სკოლაში



ქალაქ დედოფლისწყაროს პირველი საჯარო სკოლის ინგლისური ენის მოხალისე ამერიკელი მასწავლებლის ჯეკ ბრანსის, სკოლის დირექტორის მაია ლაპიაშვილისა და სამოქალაქო კლუბის წევრი მოსწავლეების ინიციატივითა და ორგანიზებით, ასევე სკოლის მეგობრების ტექნიკური დახმარებით, დედოფლისწყაროს ცენტრალურ სტადიონზე პრომო-აქცია „ჩვენ ვებრძვით შიდსს“ გაიმართა. როგორც გაზეთ „შირაქს“ სკოლის ადმინისტრაციიდან აცნობეს, აქცია დაკავშირებულია განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ გამოცხადებულ კონკურსთან „ცხოვრების ჯანსაღი წესი ჩემს სკოლაში“, რომელიც ტარდება სამინისტროს facebook-ის გვერდზე.

აქციაში მონაწილეობენ საჯარო სკოლები მთელი საქართველოს მასშტაბით და გამარჯვებული გამოვლინდება დაგროვილი „ლაიქების“ რაოდენობის მიხედვით.

აღსანიშნავია, რომ აქციაში მონაწილეობდნენ სკოლის მანდატურებიც, რითიც გამოხატეს მხარდაჭერა მოსწავლეთა მიმართ.

შეგახსენებთ, რომ აღნიშნული კონკურსის გამარჯვებულ სკოლას განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო სპორტულ მოედანს მოუწყობს, რომლის არარსებობაც მოსწავლეთა შეფასებით სკოლის ერთ-ერთ ყველაზე დიდ პრობლემად რჩება. „გვინდა ყველას მოგიწოდოთ, რომ მოიწონოთ ჩვენი საკონკურსო ფოტო და ამით დაგვეხმაროთ გამარჯვებაში. წინასწარ დიდი მადლობა ყველას. აქციის ორგანიზებაში გაწეული დახმარებისთვის მადლობას ვუხდით ყველას, ვინც წვლილი შეიტანა ამ საქმეში,“ — აცხადებენ პირველ საჯარო სკოლაში და სოციალური ქსელის მომხმარებლებს მხარდაჭერისკენ მოუწოდებენ.

ილია მარტყოფლიშვილი

სს „საქართველოს ბანკის“ მცირე და საშუალო ბიზნესის საბანკო მომსახურების დეპარტამენტი აცხადებს ვაკანსიებს დედოფლისწყაროში შემდეგ თანამდებობებზე:

იგრძენი მომავალი

საკრედიტო ასისტენტი;
საკრედიტო ექსპერტი;
უფროსი საკრედიტო ექსპერტი;
საკრედიტო ჯგუფის უფროსი.

საკრედიტო ასისტენტი

ძირითადი მოვალეობები:

- მომხმარებლებთან ადგილზე ვიზიტის დაგეგმვა და განხორციელება;
- მომხმარებლებისათვის ბანკის მომსახურების სარგებლიანობის და საბანკო პროდუქტების პრეზენტაცია;
- მომხმარებლის მოთხოვნის იდენტიფიცირება, შესაბამისი პროდუქტის შეთავაზება და ამ პროდუქტის უპირატესობის ახსნა;
- პერიოდული უკუკავშირის მიღება პოტენციური მომხმარებლებისგან;
- სარეკლამო ბუკლეტების და ბროშურების დარიგება პოტენციური მომხმარებლებისათვის.

სავალდებულო საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

განათლება: უმაღლესი ან დამამთავრებელი კურსის სტუდენტი, სასურველია ეკონომიკა, ფინანსები, მარკეტინგი, მენეჯმენტი, ტექნიკური სპეციალობები;

სამუშაო გამოცდილება: სასურველია მინ. 3 თვიანი გამოცდილება, გაყიდვების და/ან მცირე ბიზნესის სფეროში.

აუცილებელი ცოდნა და უნარები:

- კომპიუტერული საოფისე პროგრამების სრულყოფილი ცოდნა;
- ქართული მშობლიური. რუსული კარგად, ინგლისური სასურველია (მაგრამ არა აუცილებელი);
- მომსახურების და გაყიდვების კარგად განვითარებული უნარები;
- კარგად განვითარებული კომუნიკაციური უნარები — აზრის ნათლად და ლოგიკურად გამოხატვის უნარი წერით და ზეპირად;
- ორგანიზებულობა, ენერგიულობა, დაგეგმვის, სამუშაო მიზნების სწორად განსაზღვრის და დროის დაგეგმვის უნარი, გუნდური მუშაობის უნარი, ლოგიკური და ანალიტიკური აზროვნება.

საკრედიტო ექსპერტი

ძირითადი მოვალეობები:

- მომხმარებლის მოთხოვნის იდენტიფიცირება, შესაბამისი პროდუქტის შეთავაზება, ამ პროდუქტის უპირატესობის ახსნა;
- საჭიროების შეთხვევაში პირდაპირი მარკეტინგის წარმოება;
- ჯვარედინი გაყიდვები — კომპანიის პროდუქტების სრული სპექტრის შეთავაზება;
- მომხმარებლის ბიზნეს საქმიანობის, ფინანსური მდგომარეობის შესწავლა/ანალიზი;
- საკრედიტო განაცხადის მომზადება და კომიტეტზე წარდგენა;
- სესხის რეგისტრაცია/გაცემა;
- პორტფელის მონიტორინგი;
- პრობლემური სესხის მართვა;
- საკრედიტო ასისტენტის ონ-ჯობ ტრენინგი და შედეგის შეფასება.

სავალდებულო მოთხოვნები:

განათლება: უმაღლესი, სასურველია ეკონომიკა, ფინანსები, მარკეტინგი, მენეჯმენტი, ტექნიკური სპეციალობები;

სამუშაო გამოცდილება: მინ. 6 თვიანი მუშაობის გამოცდილება დაკრედიტების მიმართულებით ბანკში და/ან საკრედიტო ორგანიზაციაში.

სავალდებულო ცოდნა, უნარები:

- საკრედიტო პროდუქტების ცოდნა;
- დაკრედიტების იურიდიული ასპექტები (სავალდებულო დოკუმენტაცია);
- ფინანსური ანალიზი (ბალანსი, მოგება-ზარალი, ფულადი ნაკადების უწყისი);
- გაყიდვების ტექნიკა;
- ენები: ქართული თავისუფლად (გამართული ლიტერატურული ენა), სასურველია რუსული ენის ცოდნა;
- საოფისე კომპიუტერული პროგრამების ცოდნა;
- გაყიდვების უნარი, დამარწმუნებელი, არგუმენტირებული და გამართული ვერბალური კომუნიკაცია;
- სამუშაოს და დროის დაგეგმვის უნარი;
- სხარტი, ლოგიკური, ანალიტიკური აზროვნება, ინტუიცია;
- მიზანდასახულობა, განვითარების სურვილი;
- პრინციპულობა, გუნდური მუშაობის უნარი, მოქნილობა, ინიციატივა, ენერგიულობა, აქტიურობა;
- პასუხისმგებლობის გრძნობა, ორგანიზებულობა, მოწესრიგებულობა, ყურადღება დეტალების მიმართ, სტრესულ, დაძაბულ სამუშაო გარემოში მუშაობის უნარი.

უფროსი საკრედიტო ექსპერტი

ძირითადი მოვალეობები:

- საკრედიტო ექსპერტების, პრომოუტერებისა და საკრედიტო ასისტენტების საქმიანობის კოორდინაცია: ყოველდღიური საქმიანობის დაგეგმვა, კოორდინაცია, გეგმების შესრულების და მუშაობის ხარისხის კონტროლი;
- მომხმარებლის მოთხოვნის იდენტიფიცირება, შესაბამისი პროდუქტის შეთავაზება, ამ პროდუქტის უპირატესობის ახსნა;
- საჭიროების შეთხვევაში პირდაპირი მარკეტინგის წარმოება;
- ჯვარედინი გაყიდვები — კომპანიის პროდუქტების სრული სპექტრის შეთავაზება;
- მომხმარებლის ბიზნეს საქმიანობის, ფინანსური მდგომარეობის შესწავლა/ანალიზი;
- საკრედიტო განაცხადის მომზადება და კომიტეტზე წარდგენა;
- სესხის რეგისტრაცია/გაცემა;
- პორტფელის მონიტორინგი;
- პრობლემური სესხის მართვა;
- საკრედიტო ასისტენტის ონ-ჯობ ტრენინგი და შედეგის შეფასება.

სავალდებულო მოთხოვნები:

განათლება: უმაღლესი, სასურველია ეკონომიკა, ფინანსები, მარკეტინგი, მენეჯმენტი, ტექნიკური სპეციალობები;

სამუშაო გამოცდილება: მინ. 1.5 წლიანი მუშაობის გამოცდილება ბიზნეს დაკრედიტების მიმართულებით ბანკში და/ან საკრედიტო ორგანიზაციაში; (სასურველია, მაგრამ არასავალდებულო მცირე ჯგუფის კოორდინირების გამოცდილება).

სავალდებულო ცოდნა, უნარები:

- ბიზნეს დაკრედიტების პროდუქტების ცოდნა;
- დაკრედიტების იურიდიული ასპექტები (სავალდებულო დოკუმენტაცია);
- ფინანსური ანალიზი (ბალანსი, მოგება-ზარალი, ფულადი ნაკადების უწყისი);
- გაყიდვების ტექნიკა;
- ენები: ქართული თავისუფლად (გამართული ლიტერატურული ენა), სასურველია რუსული ენის ცოდნა;
- საოფისე კომპიუტერული პროგრამების ცოდნა;
- გაყიდვების უნარი, დამარწმუნებელი, არგუმენტირებული და გამართული ვერბალური კომუნიკაცია;
- მცირე ჯგუფის კოორდინირების უნარი: მიზნების განსაზღვრის, დელეგირების, კონტროლის, სნავლების და შეფასების უნარი;
- სამუშაოს დაგეგმვის, დროში განაწილების და შესრულების უნარი;
- სხარტი, ლოგიკური, ანალიტიკური აზროვნება, ინტუიცია;
- მიზანდასახულობა, განვითარების სურვილი;
- ლიდერობა, პრინციპულობა, გუნდური მუშაობის უნარი, მოქნილობა, ინიციატივა, ენერგიულობა, აქტიურობა;
- პასუხისმგებლობის გრძნობა, ორგანიზებულობა, მოწესრიგებულობა, ყურადღება დეტალების მიმართ, სტრესულ, დაძაბულ სამუშაო გარემოში მუშაობის უნარი.

საკრედიტო ჯგუფის უფროსი

ძირითადი მოვალეობები:

საკრედიტო ჯგუფის მიერ გაცემული სესხების რაოდენობის და მოცულობის ზრდა, პორტფელის ზრდა და ხარისხის შენარჩუნება:

- დაქვემდებარებული ჯგუფის მართვა და კოორდინაცია: ყოველდღიური საქმიანობის დაგეგმვა, პრიორიტეტების განსაზღვრა, გეგმების შესრულების და მუშაობის ხარისხის კონტროლი, ახალი სტანდარტების მიწოდება, დანერგვა, შეფასება და შემდგომი განვითარების დაგეგმვა;
- საჭიროების შემთხვევაში პირდაპირი მარკეტინგის წარმოების დაგეგმვა და ჯგუფის ხელმძღვანელობა;
- მომხმარებლის მოთხოვნის იდენტიფიცირება, შესაბამისი პროდუქტის შეთავაზება, ამ პროდუქტის უპირატესობის ახსნა;
- ჯვარედინი გაყიდვები — კომპანიის პროდუქტების სრული სპექტრის შეთავაზება;
- საკრედიტო ექსპერტთან ერთად მომხმარებლის ბიზნეს საქმიანობის, ფინანსური მდგომარეობის შესწავლა/ანალიზი;
- სესხების პერიოდული შერჩევითი მონიტორინგი;
- რეაგირება ცვლილებებზე კრედიტის მიმდინარეობის პერიოდში, პრობლემების იდენტიფიცირება, მათი გადაწყვეტის გზების შერჩევა და საკითხის განხილვა შესაბამის კომიტეტზე;
- პრობლემური სესხის მართვა;
- საკრედიტო ასისტენტის ონ-ჯობ ტრენინგი და შედეგის შეფასება: გადანაწილება, პრაქტიკის მართვა-კონტროლი, ასისტენტის შეფასება და დეპარტამენტის მენეჯმენტთან რეკომენდაციების წარდგენა.

სავალდებულო მოთხოვნები:

განათლება: უმაღლესი, სასურველია ეკონომიკა, ფინანსები, მარკეტინგი, მენეჯმენტი, ტექნიკური სპეციალობები;

სამუშაო გამოცდილება:

- მინ. 2 წლიანი მუშაობის გამოცდილება ბიზნეს დაკრედიტების მიმართულებით ბანკში და/ან საკრედიტო ორგანიზაციაში, მათ შორის მინ. 6 თვიანი გამოცდილება მენეჯერულ პოზიციაზე;
- ბიზნესის, გაყიდვების სფეროში მენეჯერულ პოზიციაზე მუშაობის მინ. 2 წლიანი გამოცდილება.

სავალდებულო ცოდნა, უნარები:

- ბიზნეს დაკრედიტების პროდუქტების ცოდნა;
- დაკრედიტების იურიდიული ასპექტები (სავალდებულო დოკუმენტაცია);
- ფინანსური ანალიზი (ბალანსი, მოგება-ზარალი, ფულადი ნაკადების უწყისი);
- გაყიდვების ტექნიკა;
- ზოგადი მენეჯმენტის საწყისები;
- ენები: ქართული თავისუფლად (გამართული ლიტერატურული ენა), სასურველია რუსული ენის ცოდნა;
- საოფისე კომპიუტერული პროგრამების ცოდნა;
- გაყიდვების უნარი, დამარწმუნებელი, არგუმენტირებული და გამართული ვერბალური კომუნიკაცია;
- ჯგუფის ეფექტურად მართვის უნარი: მიზნების განსაზღვრის, დელეგირების, კონტროლის, მოტივაციის, სწავლების და შეფასების უნარი;
- დამოუკიდებლად მუშაობისა და გადაწყვეტილების მიღების უნარი;
- სამუშაოს დაგეგმვის, დროში განაწილების, მიზნების განსაზღვისა და მიღწევის უნარი;
- სხარტი, ლოგიკური, ანალიტიკური აზროვნება, ინტუიცია;
- მიზანდასახულობა, განვითარების სურვილი;
- ლიდერობა, პრინციპულობა, გუნდური მუშაობის უნარი, მოქნილობა, ინიციატივა, ენერგიულობა, აქტიურობა;
- პასუხისმგებლობის გრძნობა, ორგანიზებულობა, მოწესრიგებულობა, ყურადღება დეტალების მიმართ, სტრესულ, დაძაბულ სამუშაო გარემოში მუშაობის უნარი.

დაინტერესებულ კანდიდატებს გთხოვთ გამოგზავნოთ სს „საქართველოს ბანკის“ სააპლიკაციო ფორმა (რომელიც შესავსებად შეგიძლიათ აილოთ) მისამართზე:

ქ. თელავი, ჭავჭავაძის 6, საქართველოს ბანკის თელავის ფილიალი

ქ. გურჯაანი, ნონეშვილის 12, საქართველოს ბანკის გურჯაანის ფილიალი

ქ. სიღნაღი, 9 აპრილის ქ. 15, საქართველოს ბანკის სიღნაღის ფილიალი

ქ. ყვარელი, ჭავჭავაძის 34, საქართველოს ბანკის ყვარლის ფილიალი

ქ. საგარეჯო, აღმაშენებლის ქ. 17, საქართველოს ბანკის საგარეჯოს ფილიალი

ქ.ლაგოდეხი, კოსტავას ქ.15, საქართველოს ბანკის ლაგოდეხის ფილიალი

ქ.წნორი, აღმაშენებლის ქ.38, საქართველოს ბანკის წნორის ფილიალი

ან ელექტრონული ფოსტით მისამართზე:

regionjob@bog.ge (გთხოვთ მიუთითოთ ვაკანსიის სახელწოდება, რომელზეც აგზავნით სააპლიკაციო ფორმას.)

განაცხადების მიღების ბოლო ვადაა 31 მარტი, 2012 წელი.

საპილოტე პროექტები იწყება



(პირველი გვერდიდან)

ზურაბ კბილცეცხლაშვილი, ომის მონაწილეა, დაინვალიდებულია, მაგრამ მაინც შრომობს, ძროხებს უვლის, მზად არის, მონაწილეობა მიიღოს წყაროს მოწყობის სამუშაოებში.

როგორც გადაწყდა, საჩვენებელი პროექტი ქალაქ დედოფლისწყაროს მოსახლეობის სარგებლობაში არსებულ საძოვარზე ე. წ. ქოჩების ტერიტორიაზე განხორციელდება. საძოვართან არსებულ წყაროზე შეიცვლება დაზიანებული რკინის მილი, რის შედეგადაც გაიზრდება წყლის დებეტი და სრულად დააკმაყოფილებს მოთხოვნებს. რამდენიმე ჰექტარზე კი მოხდება აგროქიმიური ღონისძიებების გატარება და ბალახოვან-პარკოსანი კულტურების შეთესვა. რაც უზრუნველყოფს საძოვრის განახლებას. თუმცა არსებობს გარკვეული საფრთხეებიც მოსახლეობის მხრიდან, ახლომდებარე ფერმების მწყემსებიდან, მათ უნდა უზრუნველყონ სადემონსტრაციო ფართობის დროებითი დაცვა საქონლისგან, მანამ, სანამ განახლებული ბალახოვანი საფარი არ გაჩნდება, როგორც შეხვედრაზე აღინიშნა, საჭიროა ფართობების მონაცვლეობით გამოყენება, სხვაგვარად შეუძლებელი იქნება საძოვრების ვარგის მდგომარეობაში შენარჩუნება. საუბარი იყო ქალაქის მოსახლეობის სარგებლობაში არსებული საძოვრების უკანონო სარგებლობაზე საჯარიმო სანქციების შემოღებაზეც .საკრებულოს თავმჯდომარემ ლევან ბაღაშვილმა მათ თანადგომა აღუთქვა და საქონლის დასალევი წყლის წყაროს მოწყობაში კონკრეტული საქმიანობაც ითავა.

შეხვედრების შემდეგ, ადგილზე მოინახულეს საძოვარი და კონკრეტულად შეირჩა ის ფართობი, სადაც მოხდება საქმიანობების განხორციელება.

უახლოეს მომავალში კიდევ იგეგმება მხარეებს შორის საქმიანი შეხვედრა და პროექტის დეტალების საბოლოო დახვეწა. იმედია, მოსახლეობა პასუხისმგებლობით მოეკიდება საპილოტე პროექტისთვის შერჩეული საძოვრის დაცვას და პროექტის წარმატებით დასრულებას, რადგან მისი წარმატებით განხორციელების შემთხვევაში, კიდევ უფრო დიდი პროექტის განხორციელების და სოფლების საძოვრების განახლების შანსიც მოგვეცემა.

ანა ბენაშვილი,
დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის საზოგადოებასთან ურთიერთობის სპეციალისტი

ახალი სისხლი — სკოლებს!

საწვავი ჰქონდა გადასხმული. ამას გარდა, ამ ოთახისა და კიდევ ერთი დერეფნის კარი ცეცხლის გაჩენის შემდეგ საგულდაგულოდ ჩაკეტეს, რაც დამატებით ეჭვებს აღძრავს. ხანძრის გაჩენის დღესვე გაიჟღერა და ახლაც ვრცელდება ხმები ჩემი ჩანაცვლების თაობაზე, მაგრამ ხელჩასაჭიდს ვერაფერს ვხედავ. 22 წელია ამ სკოლის ხელმძღვანელი ვარ და ვთვლი, რომ ზემო მაჩხაანის საჯარო სკოლა ერთ-ერთი გამორჩეულია. ჩემი ხელმძღვანელების მხრიდან რაიმე სახის უხეში დამოკიდებულება არ მიგრძვნია, რომ იმაზე მეფიქრა, ხომ არ გეგმავს ვინმე ჩემს გათავისუფლებას. შესაძლოა, მომხდარი მიზანმიმართულად ამას უკავშირდებოდეს, აშკარაა, რომ ეს ფაქტი დირექტორს ურტყავს. საერთოდ ჩვენ დეფიციტური სკოლა ვართ, მივლინების თანხებიც კი არ გვაქვს... ყოველთვიურად განათლების სამინისტროში ვაგზავნით მიმართვებს, რომ ელექტროენერგიისა და სხვადასხვა ხარჯები დაგვიფინანსოს. სოფელ მირზაანის სკოლის ჩვენგან გამოყოფამ ვაუჩერული დაფინანსებაც გაყო და ასეთ ვითარებაში აღმოვჩნდით. მართალია, მირზაანის სკოლაც ჩვენს დაქვემდებარებაში რჩება, მაგრამ ასეა... ძალიან გაურკვევლობაში ვართ, დოკუმენტების მთლიანად განადგურება რომ სდომებოდათ, ასეთ შემთხვევაში ხომ ხანძარს სავარაუდოდ ღამით გააჩენდნენ, რადგან ყველაფერი ასე განვითარდა, მიჩნდება ეჭვი, რომ ეს ყველაფერი სწორედ დირექტორის საწინააღმდეგოდ და აჟიოტაჟის შესაქმნელად დაიგეგმა, რასაც მშვენივრად მიაღწიეს კიდეც... ახლა მხოლოდ იმის იმედი მაქვს, რომ გამოძიებამ და სამართალდამცველმა ორგანოებმა დაადგინონ საიდან მოდის ეს პროვოკაცია და რას უკავშირდება მომხდარი. უზომოდ მაინტერესებს, ვინ იყო ჩემს გარშემო ისეთი, ვისთანაც წლებია, გვერდით ვმუშაობ და ასეთი რამ დაგეგმა," - აცხადებს ზემო მაჩხაანის საჯარო სკოლის დირექტორი.

ამ დღეებში დაძაბულობა შეინიშნებოდა ასევე ქალაქ დედოფლისწყაროს №2 და სოფელ ქვემო ქედის საჯარო სკოლების დირექტორების ირგვლივაც.

ნანა ჭილიტაშვილი *(მეორე საჯარო სკოლის ყოფილი დირექტორი)*: „გენინსპექცია იყო შემოსული ჩვენს სკოლაშიც, რომელმაც გარკვეული ხარვეზები გამოავლინა. საგანმანათლებლო რესურსცენტრის მხრიდან ზეწოლა არ ყოფილა. თანამდებობა ჩემი სურვილით დავტოვე. ასე გადავწყვიტე... თუმცა პედაგოგად მუშაობას კვლავაც გავაგრძელებ."

მეორე საჯარო სკოლის დირექტორად მიმდინარე წლის 23 მარტიდან ამავე სკოლის პედაგოგი ია ბოსტაშვილი დაინიშნა: „როგორც ჩემთვის არის ცნობილი, გენერალურ ინსპექციაში ერთ-ერთი პედაგოგის საჩივარი შევიდა და მათ შესაბამისი რეაგირება მოახდინეს. მინდა გითხრათ, რომ მანამდე მეორე საჯარო სკოლაში დიქტატორული მმართველობა იყო, გადაწყვეტილებები ერთპიროვნულად მიიღებოდა, ბევრ რამეში პედაგოგიურ კოლექტივს საქმის კურსშიც არ აყენებდნენ. ბევრ რამეში ვგრძნობდი უსამართლობას. ახლა ძალიან დიდი სტიმული მომეცა და საოცარი ენთუზიაზმი მაქვს. გულწრფელად გითხრათ, ძალიან მინდა მეორე სკოლა დედოფლისწყაროში ერთ-ერთი ყველაზე კონკურენტუნარიანი გახდეს," - განუცხადა გაზეთ „შირაქს" ია ბოსტაშვილმა..

რეზო ბაიაშვილი *(სოფელ ქვემო ქედის საჯარო სკოლის ყოფილი დირექტორი)*:

„გენინსპექცია იყო შემოსული და დარღვევები აღმოაჩინეს. მათი მხრიდან არანაირ ზეწოლას ადგილი არ ჰქონია. ამაზე კომენტარის გაკეთება არ მსურს. ყველაფერი ობიექტურად წარიმართა და რადგან დარღვევები გამოვლინდა, საჭიროდ ჩავთვალე წავსულიყავი. ჩემს სიმართლეს ვერ დავამტკიცებდი და წინააღმდეგობის გაწევას აზრი არ ჰქონდა, მითუმეტეს, ინფარქტი მაქვს გადატანილი და ცოტა დასვენება მჭირდება. საბოლოო ჯამში სხვადასხვა დარღვევების ჩამონათვალი 4 თაბახს შეადგენდა. ნაწილი ბუღალტრული სახის და სხვადასხვა შინაარსის დარღვევები დაფიქსირდა. რამდენიმე წლის წინაც შეგვამოწმა გენინსპექციამ და გაგვაფრთხილეს, რომ თუ ხარვეზებს არ აღმოვფხვრიდით, შესაბამის ზომებს მიიღებდნენ. ჩვენთან კი არათუ აღმოიფხვრა, ვითარება კიდევ უფრო გაუარესდა. როდესაც სკოლაში სათანადოდ კომპეტენტური კადრები არ არიან, ასეთ შემთხვევაში ხარვეზები იპარება ხოლმე. შესაბამისი კომპეტენციის ბუღალტერი, მდივანი და კიდევ რამდენიმე კადრი არ იყო, ზოგს რაღაც ფაქტები ეპარებოდა და ასეთ შედეგამდე მივედით. სკოლის სამეურვეო საბჭოს ჩემი დაცვა რომ სდომებოდა, თავის პოზიციას ვერაფრით დაასაბუთებდა, რადგან ფაქტები სხვა რამეს მეტყველებდა. იმას კი დავამტკიცებდით, რომ მე არაფერი მომიპარავს და სახლში არ წამიღია, მაგრამ აშკარაა, რომ დაუდევრობა იყო გამოჩენილი. ახლა შვებულებაში ვარ, განცხადება უკვე დავწერე, მაგრამ სავარაუდოდ, პედაგოგად მუშაობას ისევ გავაგრძელებ, თუმცა ცოტა დასვენება ნამდვილად მჭირდება".

ქვემო ქედის საჯარო სკოლაში დირექტორის მოვალეობას მისი მოადგილე ასმათ ხომასურიძე ასრულებდა. 23 მარტიდან კი ქვემო ქედის სკოლის დირექტორად ამავე სოფლის ტერიტორიული ორგანოს რწმუნებული ნუგზარ პაპიაშვილი დაინიშნა. პაპიაშვილი 2006-10 წლებში ამავე სკოლას ერთხელ უკვე ხელმძღვანელობდა.

ახლახან გათავისუფლდა სოფელ ფიროსმანის საჯარო სკოლის დირექტორი იოსებ ბიბინიძეც. მის მოვალეობას ამჯერად სკოლის სასწავლო ნაწილის გამგე ვაჟა ზოიძე ასრულებს. როგორც ზოიძემ „შირაქს" განუცხადა, სოფელ ფიროსმანის საჯარო სკოლაში დირექტორის თანამდებობას ფიზიკის პედაგოგი შოთა სურმანიძე დაიკავებს. ქვემო ქედის საჯარო სკოლის ახლადდანიშნული დირექტორის მსგავსად სურმანიძეც გასულ წლებში ამავე სკოლის დირექტორის თანამდებობაზე უკვე მუშაობდა.

სოფელ ფიროსმანის საჯარო სკოლის ყოფილი დირექტორი იოსებ ბიბინიძე ამბობს, რომ მის მიერ თანამდებობის დატოვებას დანარჩენი სკოლის დირექტორების გათავისუფლებასთან კავშირი არ აქვს. მისი თქმით, ოჯახური პირობების გამო იძულებული გახდა, სკოლის დირექტორის პოსტზე უარი ეთქვა. ის რესურსცენტრის მხრიდან მისი მისამართით განხორციელებულ ზეწოლას კატეგორიულად უარყოფს.

რამდენიმე თვის წინ, საგანმანათლებლო რესურსცენტრის ხელმძღვანელის ცვლილების შემდეგ, თანამდებობა დატოვა სოფელ გამარჯვების საჯარო სკოლის დირექტორმაც. რა გადაწყვეტილებას მიიღებენ დედოფლისწყაროს სხვა სკოლების ხელმძღვანელები, ამას მომავალი გვიჩვენებს.

ილია მარტყოფლიშვილი

მათ სიყვარული სჭირდებათ

21 მარტი დაუნის სინდრომის საერთაშორისო დღეა

"მე მინდა სწავლა! "- ეს წელს დაუნის სინდრომის საერთაშორისო დღის მთავარი სლოგანია.

ამ დღეს 21 მარტს მთელ მსოფლიოში აღნიშნავენ და კიდევ ერთხელ ახსენებენ საზოგადოებას, რომ დაუნის სინდრომის მქონე ადამიანებს აქვთ განათლების, შრომისა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართვის უფლება.

სამედიცინო ტერმინოლოგიას საქართველოში დღემდე შემორჩა საბჭოთა ტერმინი "დაუნის დაავადება". თუმცა, დაუნის სინდრომი არა დაავადება, არამედ გენეტიკური სახეცვლილებაა.

ადამიანების უმეტესობას თითოეულ უჯრედში 46 ქრომოსომა აქვს. დაუნის სინდრომის მქონე ადამიანს კი ერთით მეტი - 47. სწორედ ამ ქრომოსომების ზედმეტი რაოდენობა იწვევს დაუნის სინდრომს - ანუ სპეციფიკური გონებრივი და ფიზიკური მახასიათებლების ერთობლიობას. დაუნის სინდრომი განვითარების თანდაყოლილი დარღვევაა, რომელიც გონებრივი ჩამორჩენილობით, ძვლების ზრდის დარღვევითა და სხვა ფიზიკური ანომალიებით ვლინდება. ეს არის გონებრივი ჩამორჩენილობის ერთ-ერთი ყველაზე მეტად გავრცელებული ფორმა, თუმცა სრული იდიოტიზმი არასდროს ვითარდება.

დაუნის სინდრომით დაავადებულები ინარჩუნებენ ნაყოფის განვითარების ადრეული სტადიისთვის ნიშანდობლივ ფიზიკურ თვისებებს, მათ შორის - თვალის ვიწრო ნაპრალს, რაც ადამიანს მონგოლოიდური რასისთვის დამახასიათებელ გარეგნობას სძენს. 1866 წელს ლ. დაუნმა სწორედ ამ ნიშნის საფუძველზე უწოდა დაავადებას მონგოლიზმი და განავრცო რასული რეგრესიის მცდარი თეორია. სინამდვილეში დაუნის სინდრომი რასობრივ თავისებურებებთან არ არის დაკავშირებული და ყველა ერის წარმომადგენლებს შორის გვხვდება.

მაგალითად, დაუნის სინდრომის მქონე ადამიანები გამოირჩევიან ზოგიერთი გარეგნული ნიშნით - აქვთ ოდნავ წვრილი თვალები, განსხვავებული ტიპის ცერა თითი, სახის ფორმა. მათი გონებრივი და მეტყველების განვითარების ტემპი ჩამორჩება სხვებისას. დაუნის სინდრომი არ არის მემკვიდრეობითი.



მთელ მსოფლიოში საშუალოდ ყოველი 800 ბავშვიდან ერთს დაუნის სინდრომი აქვს.

რა იწვევს დაუნის სინდრომს? - ამ კითხვაზე მეცნიერებს ჯერჯერობით პასუხი არ აქვთ. პროცენტულად ხშირია შემთხვევები, როცა დაუნის სინდრომის მქონე ბავშვები 35 წელს ზევით ასაკის მშობლებს უჩნდებათ. თუმცა, პირდაპირი კორელაცია ასაკსა და სინდრომის გამოვლენას შორის არ არსებობს.

ექიმები დიაგნოზს ბავშვის დაბადებისთანავე სვამენ. უფრო მეტიც, თანამედროვე ტესტების საშუალებით, დედის ორსულობის მე-10-მე-12 კვირის განმავლობაში შესაძლებელია მიახლოებით განისაზღვროს, აქვს თუ არა ნაყოფს დაუნის სინდრომი.

ადრეულმა დიაგნოსტიკამ დასავლეთში ექიმები უკვე ეთიკური დილემის წინაშე დააყენა - მედიცინის განვითარება ხომ არ ართმევს სიცოცხლის უფლებას იმ ბავშვებს, რომელთა მშობლები დაუნის სინდრომის რისკის გამო, ნაყოფის მოშორებას გადაწყვეტენ?

არადა, დაუნის სინდრომის მქონე ადამიანებს სხვების მსგავსად შეუძლიათ სწავლა, გართობა, მუშაობა. ისინი საზოგადოების სრულფასოვანი წევრები არიან.

თუმცა, ამისათვის საჭიროა, ბავშვის განვითარებაზე ორი-სამი თვის ასაკიდან ზრუნავდნენ.

ბევრი მშობელი ვერ უძლებს ფსიქოლოგიურ ზეწოლას, ახლობელთა რჩევას ემორჩილება და, ფაქტიურად, უარს ამბობს საკუთარ შვილზე, რომელიც ამ შემთხვევაში ყველაზე დაუცველია და უმწეო. თუმცა,დღეს მთელ მსოფლიოში და საქართველოშიც სიტუაცია მკვეთრად შეიცვალა. მშობელთა გარკვეული ნაწილი ჯანსაღად უყურებს ე. წ. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე შვილებს, სწორად აფასებს მშობლის ტვირთსაც და აცნობიერებს, რომ ასეთ ბავშვებს დედის მკერდიდან „მოგლეჯა" კი არა, სიყვარული და სითბო სჭირდებათ, რათა მათ არასრულფასოვნების სინდრომი დაძლიონ და საზოგადოების სრულფასოვან წევრებად იქცნენ.ასეთი შეგნებული მშობელი მას ორმაგ ყურადღებას უთმობს და სარეაბილიტაციო ცენტრში თვითონაც დაჰყვება, სადაც პედაგოგების მულტიდისციპლინარული გუნდი ცდილობს დაუნის სინდრომის მქონე ბავშვები განვითარების ასაკს მიუახლოვოს და დაანიოს.

განვითარებულ ქვეყნებში დაუნის სინდრომის მქონე ბავშვები სხვებთან ერთად დადიან ჩვეულებრივ ბაღსა და სკოლაში, თამაშობენ და სწავლობენ სხვა ბავშვებთან ერთად. ინკლუზიური განათლების სისტემა საქართველოშიც ინერგება, თბილისში არის უკვე ათამდე სკოლა, რომელიც აქტიურადაა ჩართული ამ პროცესში.

პრობლემატურია რეგიონების საკითხი, სადაც დაუნის სინდრომის მქონე ბავშვებისთვის ადგილობრივი სარეაბილიტაციო ცენტრები არ არსებობს. თუმცა, იმედია, სანამ რეგიონებში მსგავსი სახის სარეაბილიტაციო ცენტრები გაიხსნება, დაუნის სინდრომის მქონე ადამიანებს მშობლებისა და საზოგადოების სიყვარული გადააარჩენთ, სიყვარული, რომელიც მათ ყველაზე მეტად სჭირდებათ...

ინგა შიოლაშვილი

ნუ მივატოვებთ ერთმანეთს...

„ვიცხოვრე არა როგორც მინდოდა, არამედ ისე, როგორც შევძელი"
ბაადურ ბალარჯიშვილი.

მთელი ღამეები არ მეძინა, როცა ეს ამბავი გავიგე. ტკივილის, აღშფოთების, სინანულის, ცხოვრების ამაოების და კიდევ რა ვიცი, რა გრძნობა აღარ აირია ჩემში ერთდროულად. ადამიანმა, რომელმაც ოქროს მედალზე დაამთავრა სკოლა, წითელ დიპლომზე უნივერსიტეტი, მთელი თავისი ცხოვრების ორი მესამედი სულ თანამდებობებზე იმუშავა, გამოირჩეოდა თავისი ნიჭიერებით, შრომისმოყვარეობით, პატიოსნებით და რაიონში ერთი პირველი ინტელექტუალთაგანი იყო, ბოლო ორი ათეული წელი მტკივნეული ცვლილებებით და იმედგაცრუებებით იცხოვრა. თანამდებობადაკარგული ხან აქეთ მიაწყდა, ხან იქეთ. ჯერ რაიონში სცადა ბედი, უსამართლობასა და განუკითხაობისგან შეწუხებულმა მერე დედაქალაქს მიაშურა, სადაც მისი შვილები ცხოვრობდნენ. არსად გაუმართლა, ვერა და ვერ აუღო ალღო ახალ ცხოვრებას, ყოველდღიურად თავის გატანაც უჭირდა. წლები კი წლებს მისდევდა, ასაკი ემატებოდა. ერთხანს ქალიშვილის ოჯახში ცხოვრობდა. შვილიშვილები გაიზარდნენ, სამოთახიან ბინაში სამი თაობის შვიდი ადამიანის ცხოვრება გაძნელდა. ვაჟიშვილის ოჯახიც ვიწროდ ცხოვრობდა და... გადაწყვიტა, ბინა ექირავებინა. მისი ეკონომიური შესაძლებლობების მქონე ადამიანისთვის საუკეთესო ფართს ვინ მიაქირავებდა, მანაც პატარა, ნახევრადსარდაფი იმყოფინა. ზედ ისიც დაერთო, რომ მეულლე მძიმედ გახდა ავად, მერე ჯანმრთელობის მდგომარეობა თვითონაც გაურთულდა და ბევრი რომ აღარ გავაგრძელო, რაიონში ამბავი ჩამოვიდა, მავანი და მავანი ვნახეთ, ქუჩაში შემნეობას ითხოვდაო... გული ჩამწყდა, ადგილს ვერ ვპოულობდი, ტვინი მუდუღდა... აზრი აზრს ეჭიდებოდა: ხან შვილებს ვკიცხავდი, რომელთაც თავადაც უჭირთ, დალხენილები არ არიან და, შეძლებისდაგვარად, აკითხავენ ხოლმე მშობლებს, მაგრამ... ხან ახლობლებს ვკიცხავდი, რომლებიც რაიონში ცხოვრობენ და თავის დროზე სარგებლობდნენ და ამაყობდნენ კიდეც ამ კაცის თანამდებობით, რატომ არ ჩამოიყვანენ თავის სახლში, რომელიც ზამთარ-ზაფხულ დაკეტილია, აქ უფრო უკეთ იქნებიან, მიხედავენ ნათესავები, მეზობლები, მეგობრები. რაიონი უფრო მახლობელი და თბილი იქნება მათ მიმართ, ვიდრე ქალაქი-მეთქი. მერე ფიქრი სხვა ადამიანებსაც გადასწვდებოდა, რომლებიც მთელი ცხოვრება შრომობდნენ, კაპიკს კაპიკზე ადებდნენ, აგარაკი მათ არ იცოდნენ და დასვენება, მზის ამოსვლიდან ჩასვლამდე მუხლჩაუხრელად შრომობდნენ ოჯახი რომ ფეხზე დაეყენებინათ, შვილებს ორსართულიანი სახლებიც აუშენეს, ავეჯითაც გაანყეს, დიდი ქორწილ-ნიშნობებიც გადაუხადეს, დღეს კი უმწეონი, უყურადღებოდ დატოვებულნი, სულგამწარებულნი და ნახევრად მშივრები გაჩენის დღეს იწყევლიან. ჩვენ თავადაც გვიჭირსო, თავს იმართლებენ შთამომავლები... რა არის ეს? მართლა მხოლოდ გაჭირვების ბრალია? ვერ დავმალავთ, რომ დღეს ჩვენს ქვეყანაში სოციალური კრიზისია, ხალხის დიდ ნაწილს, მართლაც, ძალიან უჭირს, უმუშევრობაა და ის მწირი პენსია თუ შემწეობა, რომელსაც მთავრობა სთავაზობს თავის უკიდურესად გაჭირვებულ მოქალაქეებს, მიზერულია და ნაწილობრივ თუ აკმაყოფილებს ადამიანის სასიცოცხლო მოთხოვნილებებს. ეს ყველაფერი რეალობაა, მაგრამ ადამიანებმა თავმოყვარეობა და ამპარტავნება (კარგი გაგებით) რომ დაკარგეს, ესეც ნათელია. გვიჭირსო, ისე იოლად იტყვიან, აღარ რცხვენიათ. უჭირს თუ არა, ყველა გაიძახის — მიჭირსო. არ უჭირდათ ჩვენს წინაპრებს?! ხუთი წელი მეორე მსოფლიო ომი მძვინვარებდა, მჭადი და ქერის პური ენატრებოდა ხალხს, მაგრამ ერთმანეთის თანადგომა და სიყვარული, უფროს-უმცროსობა და ქვრივ-ობლის მადლი არ იკარგებოდა. ახლა გაგვიადვილდა გაჭირვებაზე საუბარი და თავი მართალი გვგონია, თუ უყურადღებოდ დავტოვეთ საკუთარი დედ-მამა, და-ძმა. გვავიწყდება, რომ სიყვარული, თანადგომა და მზრუნველობა მარტო კარგი საჭმელ-სასმელითა და ტანსაცმლით არ განისაზღვრება. სულიერი გამხნევება და ყურადღება უფრო მეტად გვჭირდება ერთმანეთისგან, ვიდრე ეკონომიური დახმარება. დედაშვილობას და დედმამიშვილობას ღრმა და გამორჩეული ფესვები აქვს ჩვენს გენში და თანამედროვეობას აყოლილნი, ამ ფესვებს ნუ გავახმობთ. ყველამ გავითავისოთ ჩვენი წილი მოვალეობა — დიდმაც და პატარამაც.

ეს ფიქრები მიტრიალებდა თავში, როცა სრულიად შემთხვევით ერთი გაზეთის ფურცლებზე არცთუ ცნობილი ავტორის, ვინმე ილია ბაბუნაშვილის სტატია „დალოცვილი ჯორჯია" წავიკითხე. მინდა, მოკლედ მოგითხროთ მისი შინაარსი: ერთი რამ ნაღდია, — ამბობს ავტორი, — ძალიან ძნელია, იყო მამა... და ძალიან ძნელია, იყო შვილი. კიდევ უფრო ძნელია, იყო ქართველი იმიტომ, რომ...

და ასეთ ამბავს გვიყვება: ამერიკელი სტუმარი ჰყავდათ დასავლეთ საქართველოს ერთ ლამაზ სოფელში. სულამდე ხელი მიიწვდინა ოჯახმა. თავს ევლებოდნენ, სუფრა სუფრას ენაცვლებოდა, ნადირობა — თევზაობას. გაიხსნა კაცი, გული სხვანაირად აუჩქროლდა, იქით ღვინომაც თავისი ქნა და ერთ საღამოს სუფრაზე ცრემლი წასკდა, აქვითინდა. არიქა, რა ატირებსო, შეშფოთდნენ მასპინძლები, თანაგრძნობის სიტყვები არ დაიშურეს, ბოლოს როგორც იქნა, შეიშრო ცრემლი ამერიკელმა და თავდახრილმა, სუფრაზე, შავი ღვინის წითელი ლაქის გვერდით, თავისი დარდიც დაღვარა: აი, ახლა, თქვენ რომ მშობლების სადღეგრძელო შესვით, ცრემლი იმან მომადინა, მამაჩემი გამახსენდაო. „ღმერთმა ნათელში ამყოფოსო" — ჭიქების შესავსებად გაეპარა ერთ-ერთს ხელი. არაო, რას ამბობ, ცოცხალიაო... „უი, ნენა, მოგენატრაო?" — განცდით სავსე გამომეტყველება მიიღო მასპინძელმა ბებიამ. — ძალიანო, — უპასუხა ამერიკელმა — ცხრა წელია, არ მინახავსო. კიდევ ერთი „აუჰო", — მასპინძელმა — სად არის ამისთანა ადგილასო? — მოხუცთა თავშესაფარშია, ჩვენი ქალაქის განაპირასო...

ავიდა მერე ამერიკელი მისთვის გამოყოფილ ოთახში მოსასვენებლად, გამოიძინა, დარდი და ღვინო მოინელა, გაიღვიძა და რას ხედავს: საუზმე საწოლთანაა. ისაუზმა. სადილიც ზემოთ მიართვეს. ისადილა. ვახშამზეც იგივე განმეორდა. იგივე მოხდა მეორე და მესამე დღესაც. თურმე, მასპინძელი ოჯახის თავი აღშფოთებულა, კაცი რომელიც მამამისს, საკუთარ ქალაქში ცხრა წელიწადი არ მიაკითხავს, სუფრაზე ჩემს გვერდით აღარ დავინახოო...

გავიდა რამდენიმე თვე და სოფელში ცხრაბეჭდიანი წერილი მოვიდა ამერიკიდან. გახსნეს კონვერტი და ცრემლით დამბალი ფურცლებიდან ბებრის აკანკალებული ხელით დაწერილი მადლობა ამოიკითხეს: „ეს რა ხალხი ყოფილხართო, წერდა „მისტერ მამა". თქვენთან ვიზიტის შემდეგ სამშობლოში დაბრუნებული, ჩემი ცხრა წლის უნახავი შვილი მეწვია, გულში ჩამიკრა, მისი ცოლის გამომცხვარი ნამცხვრებიც მომიტანა და თვე არ გავა, არ მომინახულოს, გვერდით არ მომიჯდეს და თქვენი დალოცვილი „ჯორჯიის" ამბები არ მიამბოსო...

სწორედ ამ ფესვებზე და გენზე გელაპარაკებოდით, სწორედ ამ დაუწერელ კანონზე. ნუ მივატოვებთ ერთმანეთს, რადგან ერთმანეთს ვჭირდებით. ხანდაზმულებს გვახსოვდეს ჩვენი ახალგაზრდობა, ვიყოთ მიმტევებელნი და ნაკლებპრეტენზიულნი, ახალგაზრდები კი ნუ განვსჯით ჩვენს მშობლებს იმის მიხედვით, რა მოინაგრეს, რა ცხოვრება და ქონება დაგვიტოვეს (ბევრი ქონების პატრონები უფრო დაერევიან-ხოლმე ერთმანეთს), ადამიანები ცხოვრობენ არა ისე, როგორც ეს სურთ, არამედ ისე, როგორც შეუძლიათ. გვახსოვდეს, რომ ჩვენც დავბერდებით.

ნაირა გორაშვილი

მომრავლებული მგელი და მტაცებლის ტყავის რეალიზების პრობლემური საკითხი

დედოფლისწყაროს ველ-მინდვრებზე მგელი და ტურა მასობრივად ლეიშმანიოზით არის დაავადებული – ამის შესახებ დედოფლისწყაროელი ფერმერები და მონადირეები ირწმუნებიან. მათი მტკიცებით, ამჟერად დაავადებას მასობრივი ხასიათი აქვს, თუ პრევენციული ღონისძიებები დროულად არ გატარდა, დაავადების ადამიანზე გავრცელების საშიშროება რეალურად არსებობს.

„ახლა მინდვრიდან მოვდივარ და გაოგნებული ვარ... გარდა იმისა, რომ ბოლო დროს ჩვენს ქვეყანაში ტურა და მგელი კატასტროფულად მომრავლდა, საკუთარი თვალით ვნახეთ, რომ მტაცებელ ცხოველს ტანზე ბალანი გაცვენილი აქვს. ეს კი ლეიშმანიოზის სიმპტომებია. ჩვენი შეშფოთება იმან გამოიწვია, რომ ტემპერატურის დათბობისთანავე მტაცებელს კანი დაუსკდება, იქიდან კი კოღოს დაავადების გადატანა ადამიანებზეც შეუძლია. ბოლო პერიოდში ვინც მინდვრად იყო გასული, მტაცებლის დიდი ნაწილი დაავადებული დახვდა. ვითარება ნამდვილად საგანგაშოა და საფრთხის თავიდან ასაცილებლად დროულ რეაგირებას მოითხოვს, ამ საკითხს კი ყურადღებას არავინ აქცევს," – აცხადებენ გამოცდილი მონადირეები.

მონადირეები მგლის კატასტროფულ მომრავლებას იმ გარემოებას უკავშირებენ, რომ ათეულობით წელია, საქართველოში მტაცებლის ტყავის რეალიზაცია აღარ ხდება. ამდენად, მათი დახოცვით ჩვენს ქვეყანაში აღარავინაა დაინტერესებული. ამ გარემოებამ კი მტაცებლის მომრავლებას ხელი შეუწყო და საბოლოო ჯამში მათი რიცხვი იმდენად დიდია, რომ დასახლებულ პუნქტებზე მათი თავდასხმის თაობაზე ინფორმაციები მედიასაშუალებების მიერ თითქმის ყოველდღიურად ვრცელდება.

„დაახლოებით 20 წელია, მტაცებლის ტყავს საქართველოში აღარავინ იბარებს. მანამდე მას ხოცავდნენ და ტყავს საკმაოდ სოლიდურ ფასად აბარებდნენ, თავადაც სარგებელს ნახულობდნენ და მტაცებლის მომრავლებასაც აფერხებდნენ... ახლა კი, რაც ეს საკითხი მოიშალა, შედეგად მივიღეთ ის, რომ მგელი და ტურა მოსახლეობას საცხოვრებელ სახლებში უვარდება და საქონელს უნადგურებს. ეს მოვლენა კი ბოლო რამდენიმე წლის მანძილზე თითქოს ჩვეულ მოვლენად იქცა. თუ საქართველოში ტყავის რეალიზების საკითხი არ დარეგულირდა, ისე მტაცებელს არავინ დახოცავს. ამის გამო კატასტროფული სისწრაფით მრავლდებიან. იმის გამო, რომ ძალზე ბევრია, მათი დიდი ნაწილი დაავადებულია და მოსახლეობას საფრთხეს უქმნის. ტელევიზიით ხშირად გაიგონებთ, რომ მგელი მომრავლდა და მოსახლეობაში გამოჩენის შემთხვევაში უნდა დავხოცოთ, მაგრამ რატომღაც აღარავინ საუბრობს მიზეზებზე, თუ რატომ მომრავლდა და რა ხდება ასეთი, რომ მტაცებლები უკვე დასახლებულ პუნქტებშიც დათარეშობენ. ამგვარი მიდგომა საწყენია და ასე პრობლემა ვერ მოგვარდება," – აღნიშნავენ დედოფლისწყაროელები.

მონადირეები ირწმუნებიან, რომ მტაცებლის მომრავლებამ მინდვრად ფრინველთა რიცხვიც შეამცირა და ეს უკვე თვალშისაცემი გახდა.

„მგელი რომ მრავლად არის, ცხადია, ის ფრინველსაც ანადგურებს. დედოფლისწყაროში მთელი მინდვრები რომ შემოიაროთ, ხოხობს ველარ ნახავთ... მტაცებელი ბუდეში ფრინველის კვერცხსაც ანადგურებს და ბარტყსაც... ფრინველის გამრავლებას ხელი სერიოზულად ეშლება, ესეც საკმაოდ დასაფიქრებელი საკითხია. ის ანადგურებს კურდღელსაც, ფაქტიურად სანადიროდ წასვლა აზრს კარგავს. მინდვრად ძირითადად მხოლოდ მტაცებლები გვხვდება და ფრინველი და ცხოველი აღარ არის," – აცხადებს ადგილობრივი *ილია ქადაგიძე.*

ამ საკითხებზე გაზეთი „შირაქი" სპეციალისტებსაც ესაუბრა. გარემოს დაცვის სამინისტროში აცხადებენ, რომ საქართველოში მტაცებლის ტყავის რეალიზაციისა და ამ მიზნით მგელზე თავისუფალი ნადირობის დაშვების პერსპექტივა არ ჩანს.

ნონა ხელაია (***გარემოს დაცვის სამინისტროს ბიომრავალფეროვნების დაცვის სამსახურის მთავარ სპეციალისტი***): „გარემოს დაცვის მინისტრის ბრძანებით დამტკიცებული დებულების (გარეულ ცხოველთა რეგულირების წესი) თანახმად, თუ მტაცებელი თავს ესხმის ადამიანს, ან უზიანებს მის ქონებას, ასეთ შემთხვევებში მისი მოკვლისთვის წინასწარი ნებართვა არ არის საჭირო და არც რაიმე სახის სადამსჯელო ღონისძიებაა გათვალისწინებული (მაგ. ჯარიმა). თუ თავდამსხმელი მტაცებელი ცხოველის მოკვლა ვერ ხორციელდება, მაშინ გარემოს დაცვის სამინისტრო, მუნიციპალიტეტის საკრებულოს მომართვის საფუძველზე აძლევს ამ უკანასკნელს უფლებას ტავდამსხმელი ცხოველების მოკვლის თაობაზე. აღნიშნული ფორმდება შესაბამისი ხელშეკრულებით, რომლის ერთ-ერთი პუნქტი ითვალისწინებს იმას, რომ საკრებულო ახორციელებს ასეთი ცხოველის მოკვლის ორგანიზებას, საკუთარი სახსრებით, მონადირეთა ჯგუფების შექმნის გზით. ამჟამად, ზოგადად ნადირობა, მათ შორის მგელზე, საქართველოს მთელ ტერიტორიაზეა დაშვებული, გარდა სახელმწიფო ნაკრძალებში და ეროვნულ პარკებში და მათ გარშემო 500-მეტრიან ზონაში, ასევე საქართველოს ქალაქების ადმინისტრაციულ საზღვრებში. მგლების თავდასხმებთან დაკავშირებით მათი დახოცვის (გარემოდან ამოღების) თაობაზე ნებართვის მოთხოვნას - ასეთი მომართვები სამინისტროსადმი ბევრია და აღნიშნულის თაობაზე გაფორმებულია კიდეც სათანადო ხელშეკრულებები. რაც შეეხება მონადირეთა განცხადებებს რომელიმე სახეობის გარეული ცხოველის, ამ შემთხვევაში მგლების განურჩევლად და დაუსაბუთებლად დახოცვის თაობაზე, აღსანიშნავია, რომ ეს მოთხოვნები ალბათ განპირობებულია ადრე, საბჭოთა კავშირის დროს, არსებული რეგულაციით, როდესაც მგლის მოკვლისათვის ასი მანეთის ანაზღაურება იყო დაწესებული. საქართველოში ამჟამად არსებული კანონმდებლობა აღნიშნულს ეწინააღმდეგება. იგივე მოთხოვნებია დადგენილი ევროკანონმდებლობითაც. აღნიშნულიდან გამომდინარე, რომელიმე სახეობის ცხოველის მოკვლისათვის საპრემიო სისტემის დაწესება, ბიომრავალფეროვნების დაცვისა და ეკოსისტემური მომსახურების მოსაზრებებიდან გამომდინარე დაუშვებელია. აღნიშნულის სავალაო შედეგები, თუნდაც ეკოსისტემებში ცვლილებების, მათ შორის შეუქცევადის სახით მრავლადაა. არსებობს ამის კონკრეტული მაგალითები, როდესაც ევროპის ბევრ ქვეყანაში მტაცებლების განადგურებამ ცუდი შედეგები მოიტანა.

მგლების დასახლებულ პუნქტებზე თავდასხმის ფაქტები მართლაც გახშირებულია. თუმცა იმის მტკიცება, რომ ამ თავდასხმების გახშირების მიზეზი მგლების რიცხოვნობის მომატებაა, მათი დასახლებულ პუნქტებთან ახლოს გადმონაცვლება, ან რაიმე სხვა (მაგალითად მოსახლეობის მიერ ტერიტორიების ნაგვის დასაყრელად გამოყენება, ტყეში უპატრონოდ გაშვებული შინაური პირუტყვი, რის ალბათობასაც უშვებენ მეცნიერები), აღნიშნულის დასადგენად საჭიროა სათანადო კვლევები ჩატარდეს და მეცნიერთა და ამ დარგის ექსპერტთა დასკვნები დაიდოს. შესაბამისად აღნიშნულ საკითხზე მათ უნდა მიმართოთ. მინდა გითხრათ, რომ ახლახან, გარემოს დაცვისა და ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროების მიერ გამოცხადდა ტენდერი, სხვადასხვა სახეობის გარეულ ცხოველებზე კვლევის (მათ შორის მათი რიცხოვნების დასადგენად) ჩასატარებლად. ტენდერში გამარჯვებული ორგანიზაციის მიერ ჩატარებული კვლევის შედეგად შესაძლებელი იქნება სათანადო, უფრო მეტად ეფექტური ქმედებების განხორციელება. ზოგადად, მგლების დასახლებულ პუნქტებზე თავდასხმის ფაქტები მართლაც



„რადგან ტყავს ვერ ვაბარებთ, მგლებს აღარავინ ხოცავს და ამიტომ მომრავლდა. მან ფრინველიც გაანადგურა, ბუდეშივე სპობს კვერცხს და ბარტყს. დედოფლისწყაროს მინდვრები რომ მოიაროთ, ხოხობს ველარ ნახავთ. სანადიროდ წასვლა უკვე აზრს კარგავს, მინდვრად მხოლოდ მტაცებლები გვხვდება, ცხოველი და ფრინველი აღარ არის"...

გახშირებულია, მაგრამ როდესაც ამის თაობაზე მეცნიერებს ვესაუბრებით, მათ კონკრეტული მონაცემები ამ ეტაპზე არ აქვთ. ისინი გადაჭრით ვერ აკონკრეტებენ, მგლების ოდენობა გაიზარდა, თუ უბრალოდ მათ ტყის სიღრმეებიდან დასახლებული პუნქტებისკენ წამოიწიეს. ახლა ნაგავსაყრელების პრობლემამ ფართო მასშტაბები შეიძინა, პირუტყვიც გაცილებით მეტია უპატრონოდ

„საქართველო ევროპული სტანდარტებისკენ მიდის, მართებული არაა, რომელიმე ცხოველზე ნადირობა დავუშვათ და პრემია დაწესდეს. მტაცებელი რომ გავანადგუროთ, შეუქცევადი პროცესები წავა. არსებობს კონკრეტული მაგალითები, ევროპის ბევრ ქვეყანაში მტაცებლების განადგურებამ ცუდი შედეგები მოიტანა".

გაშვებული, რაც იმის წინაპირობას ქმნის, რომ მგელს, რომელსაც საუკეთესო ყნოსვა აქვს, დასახლებულ პუნქტებთან მივიდეს," - განუცხადა გაზეთ „შირაქს" ნონა ხელაიამ.

მონადირეთა პოზიციას არ იზიარებს თბილისის ზოოპარკის ხელმძღვანელი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი ზურაბ გურიელიძეც. ის ამბობს, რომ მტაცებლის მომრავლება და დასახლებული პუნქტებისკენ მიახლოვება ტყეში საკვების (ჩლიქოსნების) განადგურებამ გამოიწვია. ზოოპარკის დირექტორი შექმნილ ვითარებას მონადირეებს უკავშირებს:

„დღეს მგელი რომ მრავლადაა და მოქალაქეებსაც ესხმის, ეს ჩვენი მონადირეების დამსახურებაა. აბა, მათ ასეთი შეკითხვა დაუსვით და გვიპასუხონ - თითეულმა მათგანმა როდის ნახა ბოლოს ირემი საქართველოს სხვადასხვა ტერიტორიებზე?.. ტყეში ჩლიქოსნები სულ გაანადგურეს და ამიტომაცაა, რომ მგელი დასახლებული ტერიტორიებისკენ მოიწევს. რაც შეეხება ვერსიას, თითქოს მგლის მომრავლება ფრინველს გამრავლებაში ხელს უშლის, ესეც დაუჯერებლად მეჩვენება. გამორიცხულია, მგელი ბუდეში კვერცხს და ბარტყს ანადგურებდეს... ეს მტაცებელი ამგვარი საკვებით არ საზრდოობს. ჩემი აზრით, მონადირეთა ეს პოზიცია გადაბრალების მცდელობას წაგავს... საქართველოში მგლის ტყავს არასოდეს არ იბარებდნენ. როდესაც აცხადებენ, რომ ტყავს სადმე აბარებდნენ, ეს არასწორია. საბჭოთა რეჟიმის დროს მგლის მოკვლისთვის დაწესებულ პრემიას იღებდნენ და ეს არ იყო ტყავის საფასური. საქართველოში არსებული მგლის ტყავი ძალზე უხარისხოა და მას არც ათეულობით წლების წინ არავინ იბარებდა და არც ახლა ჩაიბარებენ. ასეთ სიტუაციაში გამოსავალი ყველა მოქალაქემ ერთობლივად უნდა ეძებოს. ვფიქრობ, პირველ რიგში ადამიანებმა საკუთარი საქონელი უნდა დაიცვას, რათა მგლის მოზღვავება ავიცილოთ. აღარ უნდა იყოს პირუტყვი ასე უდიერად მინდვრად გაშვებული. ერთი რამ ნათელია, რომ მტაცებელს ტყეში საკვები აღარ დარჩა და იძულებულია, მის მოსაპოვებლად დასახლებულ პუნქტებს დაესხას. როდესაც საუბრობენ, მგლები მასობრივად ლეიშმანიოზით არიან დაავადებულნიო, ამის დამტკიცება ასე ადვილი არ არის. სიმპტომები კი ნამდვილად ასეთია, მაგრამ ბალნის ცვენა და კანის დახეთქვა სხვა დაავადებებმაც შეუძლია გამოიწვიოს, მათ შორის სოკომაც... ასე გადაჭრით, ცხადია, მეც ვერ ვიტყვი არის თუ არა ეს ლეიშმანიოზი და ბუნებრივია, მონადირეებს და მოყვარულ ადამიანებს ამის კომპეტენცია არ აქვთ... თუ დაავადებულ მტაცებელს მრავლად ხედავენ, აუცილებელია ერთ-ერთი მათგანი მოკლან და გვამს გამოკვლევა ჩაუტარდეს. მზად ვარ კახეთში ჩამოვიდე, სპეციალისტები ჩამოვიყვანო და ვითარების შესწავლაში დაგეხმაროთ. ეს საკითხი ოფიციალურად რომელ უწყებას ეხება, ვერ გეტყვით. თუმცა, ბუნების ერთი კანონზომიერება შემიძლია გითხრათ, რომ თუ წელს მგელი მრავლადაა, მალე კლება დაიწყება. მათი მომრავლება საკვების უკმარისობასა და დაავადებების რიცხვს კიდევ უფრო გაზრდის და მომავალ წელს მგელი საგრძნობლად შემცირდება," - განმარტავს ზურაბ გურიელიძე.

საქართველოს მეცხვარეთა ასოციაციის თავმჯდომარე ბეჟა გონაშვილი გაზეთ „შირაქთან" საუბრისას აცხადებს, რომ მტაცებლების საკითხი დანაკარგს მეცხვარეებისთვისაც მუდმივად იწვევდა, ამ კუთხით ბოლო დროს რაიმე განსაკუთრებულს, ან დანაკარგის რიცხვის ზრდას ის ვერ ხედავს.

ილია მარტყოფლიშვილი

დაქარული შირაქი

საშემოდგომო ნათესები ჯერ 9 და 10 მარტის ძლიერმა ქარმა დაზიანა, ახლა გუშინ, 22 მარტს ამოვარდნილმა ქარ-ბუქმა სულ ხელი მოუთავა. ახვეტილ მიწას ქარი ჰაერში კორიანტელად ატრიალებდა და თვალთახედვაც კი ჭირდა.

აქა-იქ, კანტი-კუნტად მომუშავე სათესებმა მუშაობა შეწყვიტეს, რადგან ქარი მარცვალს აქეთ-იქეთ ფანტავდა. სამაგიეროდ, ნაკვეთების გადასანავად გაჩენილი ცეცხლი გალაღებულიყო და უპატრონოდ და უყურადღებოდ მიტოვებული, „თავის ნებაზე“ მიშვებული, ქარსაფარ ზოლებში დათარეშობდა. ახია ჩვენზე, ვერ შევიგნეთ და ვერ გავაცნობიერეთ, რომ ეს ზარალი, რასაც დაქარული ნათესებისგან ვიღებთ, ჩვენივე ბრალია. მინდვრებში ქარის ბობოქრობის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი ქარსაფარი ზოლების განადგურებაა, რომელიც რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში ზრუნვით და ლოლიავით მოიტანეს ბოლო ათწლეულებამდე, ჩვენ კი, რადგან ყველგან და ყველაფერში „დღევანდელი კვერცხი გვირჩევნია ხვალინდელ ქათამს“, ხელი მივყავით — გადავწვით, გადავკაფეთ და გადავძოვეთ, არ ვიფიქრეთ, რომ საშვილიშვილო საქმეს ვაფუჭებდით. განა ვინმე სხვამ გადააქცია სატრაქტორო და მემინდვრეობის საბრიგადო სახლები მეცხოველეობის ფერმებად და იქ უცხო ხალხი მოიყვანა მწყემსებად?! ახლა ვიძახით, ვიღაც-ვიღაცები თავზე დაგვასხდნენო! რა უნდა შირაქში ამდენ ცხვარ-ძროხას?! სად არის იქ საძოვარი?! სწორედ ქარსაფარში საქონლის ძოვებამ და ნორჩი ამონაყარის განადგურებამ, მწყემსების მიერ შეშად მოჭრილმა ხეებმა, მინის უპასუხისმგებლო მფლობელთა მიერ უპატრონოდ მიტოვებულმა ცეცხლმა გამოიწვია ის, რომ ქარს აღარაფერი იჭერს და ნათესები ზიანდება, მოსავალი ნახევრდება, ზარალს ზარალი ემატება და ვინ იჭყლიტება? — ისევ ჩვენ! ვხედავთ, ჩვენი რაიონის ხელმძღვანელობის ძალისხმევა გერმანელთა დახმარებით ქარსაფარ ზოლების გაშენების თაობაზე, როგორ ნაბიჯ-ნაბიჯ ვითარდება, მაგრამ ამას ორი-სამი წელი არ ეყოფა, ათეული წლები სჭირდება, მათ თავისი ფუნქცია რომ შეასრულონ. თუმცა, არის კი გარანტია იმისა, რომ ის ახალი ნარგავებიც არ გაიზიარებენ ძველი ქარსაფარების ბედს?! ამიტომ მკაცრად უნდა დადგეს საკითხი, რომ გავიდეს საქონელი იმ სახნავ-სათესი ტერიტორიებიდან, სადაც საძოვარი არ არის.

ახლა კი მივუბრუნდეთ ისევ ქარისგან დაზიანებული ნაკვეთების ამბავს: როგორც გავარკვიეთ, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგეობის მოქალაქეთა მომსახურების ბიურო იბარებს დაზარალებული მოქალაქეების განცხადებებს და მუნიციპალიტეტის საკრებულოს გადასცემს. უკვე რამდენიმე ათეული განაცხადია შესული. შესაბამისად, შექმნილია მობილური ჯგუფი, რომელიც ზარალს აფიქსირებს. გუშინდელი ქარის შემდეგ მოსალოდნელია დაზარალებულთა ოდენობა გაიზარდოს, რადგან, ის, რაც შირაქში ჩემი თვალით ვნახე, მიწის ბევრ მფლობელს დააღონებს: — ქარისგან ფესვებგამოჩენილი და გამომშრალი ჯეჯილი გადამხმარია, ბზუალასგან კალო-კალო გადაშავებული ადგილები სულ მოტიტვლებულია. ზოგადად, ის ჯეჯილიც კი, რომელიც ადრე შემოდგომაზე დაითესა, კარგი ამონაყარი აქვს და ბორჯი გადგმულია, ქარისგან და სიცივისგან გაუფერულებული და გატუსულია. რაც შეეხება საგაზაფხულო სამუშაოებს, აქა-იქ მოხნულს თუ შევხვდებით. დიდი ფართობი შირაქისა დაუმუშავებელია და გამხმარი ბალახით და ნარით სავსეა. მდგომარეობას ის ართულებს, რომ 5-10 და თუნდაც 15 ჰექტრის პატრონებს აღარ აქვთ შესაძლებლობა, მიხედონ და დაამუშაონ ნაკვეთები, რადგან მცირე ფართობზე მიღებული მოსავლის თვითღირებულება მოგების არავითარ შანსს არ სტოვებს. ისედაც ძვირი და ხვნა-თესვისას უფრო გაძვირებული სანვავი და ძვირადღირებული ტექნიკა ხელმისაწვდომი არ არის მიწის ბევრი მფლობელისათვის.

ნაირა გორაშვილი

ჭადრაკი

ქალაქ დედოფლისწყაროს კულტურის სახლში ჩატარდა მუნიციპალიტეტის ქალთა საერთაშორისო სოლიდარობის დღის 8 მარტისადმი მიძღვნილი პირველობა ჭადრაკში, სადაც მონაწილეობა მიიღო 30- მა მოჭადრაკემ.



გოგონათა შორის ჩემპიონი გახდა ნინო მახარაშვილი, ქ. დედოფლისწყაროს №1 საჯარო სკოლიდან (სკოლის დირექტორი ქალბატონი მაია ლიპიაშვილი). მეორე ადგილზე გავიდა თამრიკო მოდებაძე, ისიც №1 საჯარო სკოლის მოსწავლეა. მესამე ადგილი დაიკავა მარი უთრუთაშვილმა არბოშიკის საჯარო სკოლიდან. ვაჟებში ჩემპიონი გახდა ქ. დედოფლისწყაროს №1 საჯარო სკოლის მოსწავლე ზურაბ ხუციშვილი.მეორე ადგილზე გავიდა ვალერი ბატიაშვილი არბოშიკის საჯარო სკოლიდან.მესამე ადგილი აიღო ქ. დედოფლისწყაროს №1 საჯარო სკოლის მოსწავლე

გიორგი ბენაშვილმა. მამაკაცებში მუნიციპალიტეტის ჩემპიონი გახდა გიორგი კიკილაშვილი, მეორე ადგილზე გავიდა პეტრე მამულაშვილი, მესამე ადგილი აიღო ჯემალ გიგაურმა.

ქალაქ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის კულტურისა და სპორტის ცენტრის დირექტორმა ივანე შანშიაშვილმა ალაფურშეტი მოუწყო სპორტსმენებს. გამარჯვებულები და პრიზიორები დაჯილდოვდნენ ფასიანი საჩუგრებით და სიგელებით.

გიორგი კიკილაშვილმა დააწესა ფულადი ჯილდო გოგონებისა და ვაჟებისათვის. ნინო მახარაშვილს და ზურაბ ხუციშვილს გადაეცათ 50-50 ლარი.

ევროპის თასი ჭაბუკ ძიუდოისტთა შორის

17-18 მარტს ანტალიამ ჭაბუკ ძიუდოისტთა შორის ევროპის თასს უმასპინძლა. 1996-1997 წლებში დაბადებულ სპორტსმენთა შორის გამართულ ბრძოლაში 55 კგ წონით კატეგორიაში ჩვენი მუნიციპალიტეტის წარგზავნილმა ბექა ნათათრალაშვილმა წარმატებით იასპარეზა და ჩემპიონის ტიტულს დაეუფლა.

16-17-18 მარტს ქალაქ თბილისში გაიმართა საქართველოს პირველობა 1999-2000 წელს დაბადებულ ძიუდოისტთა შორის. მესამე საპრიზო ადგილი დაიკავა 42 კგ წონით კატეგორიაში ლაშა ბექაურმა.

კვლავ წარმატება

წარმატებას წარმატებაზე აღწევს ზემო მაჩხაანის ორთაბრძოლების გუნდი,

რომელსაც წრთვნის გენადი ნატროშვილი.

მათ 10 მარტს მონაწილეობა მიიღეს ქალაქ გურჯაანში გამართულ რეგიონულ

ტურნირში. მასში მონაწილეობდნენ გურჯაანის,

ახმეტის 3 კლუბი და ზემო მაჩხაანის გუნდი. ეს გუნდი 9 წევრისაგან შედგებოდა

და მათ პირველი და მეორე ადგილები მოიპოვეს.

პირველ ადგილზე წონითი კატეგორიების მიხედვით გავიდნენ: გიორგი ნატროშვილი,

რომელიც თავისზე საკმაოდ მძიმე მონინააღმდეგეს შეხვდა (38 კილოგრამი 45 კილოგრამის) წინააღმდეგ და სძლია. პირველი ადგილი მოიპოვეს, აგრეთვე: სანდრო

ნატროშვილმა (35 კგ), სოსო ნატროშვილმა (25 კგ. შეხვდა 32კგ. წონის მოწინააღმდეგეს)

და ლევან მარტყოფლიშვილმა (38კგ).

მეორე ადგილზე გავიდნენ: გიგა ნატროშვილი(55 კგ), გიორგი პაპუაშვილი (60კგ),

გიორგი ტოკლიკიშვილი (30კგ), დათო თარაშვილი (50ჯკგ) და მეორე გიგა ნატროშვილი (48კგ).

გიორგი და სანდრო ნატროშვილები დაკავებულ ადგილებთან ერთად საუკეთესო ორ-

თაბრძოლის ჩატარებისთვისაც სპეციალური დიპლომებითაც დაჯილდოვდნენ.

გუნდი კვლავ ინტენსიურად ვარჯიშობს და მომავალი შეჯიბრებებისთვის ემზადება.

ნაირა გორაშვილი

* * *

26 თებერვალს ჩატარდა კახეთის პირველობა კიკბოქსინგში, სადაც მონაწილეობა მიიღო ზემო მაჩხაანის გუნდმა (მწვრთნელი გენადი ნატროშვილი) ჩვენი სპორტსმენები ასპარეზობიდან წარმატებით დაბრუნდნენ. პირველ ადგილზე გავიდნენ ძმები გიორგი და სოსო ნატროშვილები (30—42 კგ. წონით კატეგორიებში), მეორე ადგილი მოიპოვა ლევან მარტყოფლიშვილმა (38 კგ. წონით კატეგორია.), ხოლო მესამე ადგილს დასჯერდა გიგა ნატროშვილი, რომელიც 55 კგ წონით კატეგორიაში ასპარეზობდა. გიგამ ასევე მოიპოვა მეორე სიგელი და კარგი ტექნიკური ბრძოლისთვის კახეთის ფედერაციის და მსაჯთა მოწონების დიპლომი დაიმსახურა. გიგა ნატროშვილი ჯერ ახალბედაა სპორტის ამ სახეობაში და მისი ასეთი შედეგი პირველივე ცდაზე წარმატებულად შეიძლება ჩაითვალოს. სამომავლოდ გუნდს წინ ელის საქართველოს პირველობაზე გასვლა დ,,ბრძოლა წესების გარეშე.“

ლალი მეხრიშვილი

ძიუდო

ქალაქ ახმეტაში ჩატარდა კახეთის პირველობა 1999-2000 წლებში დაბადებულ ძიუდოისტებს შორის. შეჯიბრში ჩვენი მუნიციპალიტეტიდან მონაწილეობა მიიღო 19- მა სპორტმენმა. ჩემპიონები გახდნენ 34კგ. კატეგორიაში გიორგი თინაშვილი და 42კგ კატეგორიაში ლაშა ბექაური.

მესამე საპრიზო ადგილის მფლობელები გახდნენ:38კგ კატეგორიაში ნიკა კობაიძე, 42კგ-ვალერი ჯავახიშვილი, 46 კგ- ნიკა ზვიადაური,55კგ. ჯონი მოსულიშვილი.

ეს სპორტსმენები მონაწილეობას მიიღებენ საქართველოს ფინალურ პირველობაზე. გუნდი მოამზადა მწვრთნელმა კახა წიკლაურმა, ვაჟა მოსულიშვილმა, გელა ბექაურმა, ზვიად პატაშურმა.

გვემუქრება თუ არა გრიპის ეპიდემია

პირველმა შიშმა და საუკუნის წინანდელი "ისპანკას" აჩრდილმა თითქოსდა გადაიარა, მაგრამ სიმშვიდე ნაადრევია — მედიცინის ექსპერტები ერთხმად წინასწარმეტყველებენ მეორე ტალღას. თუმცა ეს ჩვეული სენი პანდემიის გარეშეც არც ისე უწყინარია, როგორც ერთი შეხედვით შეიძლება მოგვეჩვენოს, ამიტომაც გრიპსაწინააღმდეგო თა-

დარიგის დაჭერა დაინფიცირებამდეა საჭირო.

გთავაზობთ ექიმის საუბარს.

— გრიპი, როგორც პანდემიის დროს, ასევე მის გარეშე საზოგადოებრივი ჯანდაცვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემაა. ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემებით, სეზონური გრიპით ყოველწლიურად მოსახლეობის 5-15% ავადდება, 3-5 მილიონი შემთხვევა მძიმეა, ხოლო 300 000-500 000 სიკვდილით სრულდება. ასეთი გავრცელების გამო გრიპი და სხვა რესპირაციული ინფექციები ექიმთან ვიზიტის, სამსახურისა და სასწავლო დაწესებულებების გაცდენის ყველაზე ხშირი მიზეზია, ამიტომ ისინი არა მარტო სამედიცინო, არამედ სერიოზულ სოციალურ პრობლემადაც მიიჩნევა.

— ***უმთავრესად როდის შეიძლება დამძიმდეს გრიპი?***

— გრიპი განსაკუთრებით საშიშია იმ ადამიანებისთვის, რომელთაც აქვთ სასუნთქი და გულ-სისხლძარღვთა სისტემების ქრონიკული დაავადებები, შაქრიანი დიაბეტი, იმუნოდეფიციტური მდგომარეობა, ასევე — ხანდაზმულებისა და ბავშვებისთვის. სტატისტიკის თანახმად, სეზონური გრიპის დროს გარდაცვლილთა 62% 65 წელს არის გადაცილებული. სხვა-

თა შორის, სადღეისოდ არსებული ინფორმაციით, წლევანდელი პანდემიისას რისკჯგუფები იგივეა, გარდა ერთი გამონაკლისისა — ხანდაზმულები 2009 წლის A(H1N1) ვირუსით შედარებით ნაკლებად ავადდებიან. ამერიკელმა მეცნიერებმა 60 წლამდე ასაკის პოპულაციას ახალი ვირუსის საწინააღმდეგო ანტისხეულები ფაქტობრივად ვერ აღმოუჩინეს, ამ ასაკს გადაცილებულთა მესამედს კი დამცავი ცილები აღმოაჩნდა. თუმცა რამდენად სრულყოფილია მათი იმუნიტეტი, მეცნიერებს ჯერ კიდევ დასადგენი აქვთ.

— ***რა განსხვავებაა სეზონურ და პანდემიურ გრიპებს შორის?***

— გრიპის ცალკეული შემთხვევები და ეპიდემიები ჩვენში და ზომიერი კლიმატის სხვა ქვეყნებში ყოველ ზამთარს და ადრე გაზაფხულზე იჩენს თავს, ტროპიკულ ქვეყნებში კი მთელი წლის განმავლობაში აღინიშნება. ეს ვირუსები გამუდმებით, თუმცა შედარებით ნაკლებად იცვლება, ამიტომაც მოსახლეობას შეზღუდული, ნაწილობრივი იმუნიტეტი გააჩნია. საზოგადოდაც, გრიპისა და სხვა რესპირაციული ინფექციების მიმართ მყარი იმუნიტეტი არ ყალიბდება, ამიტომ ამ ინფექციებით ხელმეორედ დაავადებისგან არავინ არის დაზღვეული.

სპეციალისტების გამოთვლით, გრიპის პანდემია ყოველ 30-40 წელიწადში ერთხელ იფეთქებს. ამ დროს მოცირკულირე ვირუსების გვერდით განსხვავებული გენოტიპი ჩნდება. ვინაიდან ახალი ვირუსის საწინააღმდეგო იმუნიტეტი მოსახლეობას პრაქტიკულად არ გააჩნია, დაავადება ელვის სისწრაფით — სულ რამდენიმე თვეში — მთელ მსოფლიოს აავადებს. თუმცა, რა თქმა უნდა, სეზონური გრიპისგან არც პანდემიის დროს ვართ დაზღვეულები. ყოველ ცალკეულ შემთხვევაში მათ განსხვავებას სპეციალური კვლევა სჭირდება.

— ***როგორია გრიპის სიმპტომები?***

— გრიპის ძირითადი კლინიკური ნიშნებია ზოგადი სისუსტე, მაღალი ცხელება (39 გრადუსი და მეტი), თავისა და თვალბუდეების ტკივილი, კუნთებისა და სახსრების ტეხვითი ტკივილი, ჩახეხვის შეგრძნება ყელში, ცხვირით სუნთქვის გაძნელება, გამონადენი ცხვირიდან, ხველა. დამახასიათებელია გართულებები გულ-სისხლძარღვთა და ნერვული სისტემების მხრივ.

— ***რა გზით შეიძლება ინფიცირება გრიპის დროს?***

— გრიპის ვირუსი, ისევე როგორც სხვა რესპირაციული ვირუსები, ჰაერწვეთოვანი გზით ვრცელდება. შესაძლებელია ინფიცირება ავადმყოფის მიერ გამოყენებული, ლორწოთი დაბინძურებული პირადი ნივთების, თუნდაც პირსახოცის, ჭურჭლის გამოყენების გზითაც.

— ***როგორ დავიცვათ თავი გრიპისგან?***

— უწინარეს ყოვლისა, ერიდეთ ახლო კონტაქტს, განსაკუთრებით — იმ ადამიანებთან, რომელთაც სასუნთქი სისტემის ინფექციისთვის დამახასიათებელი სიმპტომები აქვთ.

რაც შეიძლება ხშირად დაიბანეთ ხელები წყლითა და საპნით. ხშირად დაბანეთ ხელები პატარებს, განსაკუთრებით — ქუჩიდან დაბრუნების შემდეგ. შეგიძლიათ, საპნის ნაცვლად გამოიყენოთ ალკოჰოლის შემცველი ხელსაწმენდები.

არ შეეხოთ დაუბანელი ხელებით თვალებს, პირს, ცხვირს — გამომწვევი ასეც შეიძლება გავრცელდეს.

ოჯახის ავადმყოფი წევრი შეძლებისამებრ იზოლირებულ გარემოში მოაქციეთ და დანარჩენი წევრები, განსაკუთრებით ბავშვები, მოარიდეთ.

ავადმყოფთან ერთ მეტრზე მეტად მიახლოებისას გამოიყენეთ სპეციალური დამცავი ნიღაბი. (შეგიძლიათ, აფთიაქში შეიძინოთ ან ოთხპირი დოლბანდისგან თავად შეიკეროთ). ნიღაბი ხშირად იცვალეთ და ყოველი გამოცვლისას ხელების დაბანაც არ დაგავიწყდეთ. ჭურჭლის ცალკე რეცხვა საჭირო არ არის, ოღონდ საპნით ან სპეციალური ჟელეთი გარეცხვამდე ავადმყოფის ჭურჭელი სხვა ნივთებს არ უნდა შეეხოს. ავადმყოფს ასევე უნდა გამოუყოთ ცალკე პირსახოცი, მისი ოთახი ხშირად უნდა გაანიავოთ და სველი წესით დაალაგოთ.

მონატრება

მერაბ ღორაშვილი

10 წელი გავიდა შენი გარდაცვალებიდან მერაბ, თითქოს გუშინ მოხდა ყველაფერი. ათი წელი აკლიხარ შენს ოჯახს. შენი მონატრება და შენი გახსენება თითქმის ყოველდღე ხდება. გიხსენებენ შვილები, შვილიშვილები.

25 მარტს ყველანი მოვალთ შენს საფლავზე და პატივს მივაგებთ შენს ხსოვნას. დაგინთებთ სანთლებს და უფალს კიდევ ერთხელ შევთხოვთ, ნათელში დაგიმკვიდროს სასუფეველი.

შენი მეუღლე
ლეილა სულაშვილი,
სოფელი გამარჯვება.

ნიკა სეფიაშვილი



მარტის თვემ სიხარულიც მოგვიტანა და არც სიმწარე დაგვაკლო. 28 მარტი ნიკას დაბადებაა, 15 მარტი - ნიკას გარდაცვალება. ნიკა, ჩვენო მარად 15 წლის ვაჟკაცო, 6 წელი გავიდა, რაც უფალმა თავისთან წაგიყვანა და ეს მაშინ, როცა შენში ყველაფერი იფურჩქნებოდა. რა ნახე, რა მოასწარი, დაგრჩა ბევრი აუხდენელი ოცნება. დიდებულმა უფალმა ბევრი კარგი თვისება დაგამადლა. სიყვარული და სიკეთე, შრომა და გაჭირვებულის დახმარება იყო შენი თანამგზავრი, ჩემო ალალო შვილო, ამ პატარა ბიჭმა იმდენი კარგის კეთება მოასწარი, რომ კარგი ვაჟკაცის სახელი დაიმკვიდრე. მე ვამაყობ ამით, დღევანდელ საქართველოს როგორ გამოადგებოდა შენნაირი მშრომელი და რისკიანი. ერთი შეგახედა, შენი გაზრდილი ზუკა როგორ დავაჟკაცდა, ნინო როგორ დაქალდა, შენთვის უცნობი ნიკა უკვე 4 წლისაა, ილოცე მათთვის, შენი მამუკა ეკასთვის, შენი მომგონებლისთვის, რომ იცოდე, როგორ დავიღალეთ უშენობით მე და მამაშენი. ძალიან გვენატრები, შენი მოგონებებით ვცოცხლობთ, თუ ამას სიცოცხლე ჰქვია. გაცივდა ყველა სასიცოცხლო უჯრედი, როცა ვინმეს ვჭირდებით, ეს გვამხნევებს და ძალას გვმატებს. შენ რომ ოცნებობდი დიდ სახლზე, მამაშენმა ოცნება აგისრულა, მაგრამ რა – სულ იმ ბედნიერ დღეზე ვოცნებობ, რომ ღმერთი შენთან მოგვიყვანს, მაგრამ მინდა, რაც შეიძლება გავიხარჯო და შენთან ვალმოხდილი მოვიდე.

ნიკა, 28 მარტს 21 წელი შეგისრულდებოდა, ეჰ რამხელა ვაჟკაცი მეყოლებოდი, რა ბედნიერები ვიქნებოდით. ნეტავი უფალთან იყო ბედნიერი.

სანამ სული მიდგას, ვილოცებ შენთვის, უამრავ კეთილ საქმეს გავაკეთებ შენი სახელით, გავიღებ მოწყალებას, არ მოგაკლებ სანთელ–საკმეველს, რაც არასოდეს დაკარგავს თავის გზას.

ღმერთმა გიმრავლოს და გიცოცხლოს შენზედ მლოცველები, რომლებიც უფლის წყალობით მრავლადა გყავს.

ხელთაშენთა შევავედრებ უფალო იესო ქრისტე, ღმერთო ჩვენო, სულსა ჩემსა ნიკოლოზისა შენ იგი შეიწყალე, შენ იგი აკურთხე და ცხოვრება საუკუნე მიმადლე. ამინ.

შენი მშობლები

გიორგი გიეგაშვილი

ხვალ, 24 მარტს, 27 წლის გახდები. მოულოდნელმა სიკვდილმა თვალსა და ხელს შუა გამოგვაცალა შენი თავი. ვაიც ვერ დაიძახე და, ალბათ თვითონაც ვერ მოასწარი გაცნობიერება, თუ რა ხდებოდა შენს თავს. აუტანელია უშენობით გამოწვეული

სულის ტკივილი. უკვე 7 წელია, ჩვენთან აღარ ხარ. უსაზღვროდ ენატრები ყველას - სიცოცხლე გამწარებულ დედას, მამას, ძმას, ახლობლებს. შენ ხომ სრულიად ჯამრთელი და სიცოცხლით სავსე იყავი, სიკეთე და სიყვარული თან გდევდა საგზლად.

სამუდამოდ გაიხურე შენი თბილი და ლამაზი ოჯახის კარი. ვერასოდეს ვიფიქრებდით,

თუ ოდესმე მოგვიწევდა იმ ცრემლით სავეს ტკივილის ტარება, რასაც უშენობა ჰქვია.

გიორგი, 24 მარტს შენი დაბადების დღეა,რომელიც ძალიან გიყვარდა. ჩვენ გულის ტკივილით მეშვიდედ აღვნიშნავთ უშენოდ შენს დაბადების დღეს. ამ დღეს ტრადიციულად მოვალთ შენს წმინდა საფლავზე, ჩვენო გიორგი, სანთლებს ავანთებთ, ყვავილებით და ცრემლებით მოგილოცავთ დაბადების დღეს და ყველა ვილოცებთ შენი ლამაზი სულისთვის. ღმერთმა სასუფეველი დაგიმკვიდროს, ჩვენო ვაჟკაცო.

შენი მშობლები:
ვენერა და ნოდარი, ძმა
მამუკა გიეგაშვილები.

ოლეგ გრიგალაშვილი

საშინელება ყოფილა ძვირფასი ადამიანის გარეშე გატარებული ერთი წელი. ცრემლიანი და მოწყენილი დღეები მიფრინავენ. თურმე, დრო ყველაფრის მკურნალი არ ყოფილა. ცხოვრება უშენოდ გრძელდება, მაგრამ დრო ვერ შეძლებს იმ ტკივილის, სიყვარულისა და მონატრების დავიწყებას, რასაც შენი ოჯახი და სანათესაო უშენოდ განიცდის. ვერაფრით ვერ შევეგუეთ იმ აზრს, რომ შენ ამ ქვეყნად აღარ ხარ.

ვიდრე ცოცხლები ვიქნებით, შენს სულს არაფერი მოაკლდება. შენს შვილიშვილებს, ჩვენს შვილიშვილებს გადავცემთ შენი სიკეთის ამბავს. ვეტყვით, რომ ამ სიყვარულით სავსე კაცმა ისე დაგვტოვე, სიტყვის თქმაც ვერ მოასწარი. მოულოდნელად, მშვიდად და უხმაუროდ წახვედი. ვერც კი მოვასწარით იმ დიდი სიყვარულის გაცნობიერება, რასაც ერთმანეთის მიმართ ვგრძნობდით. შენი სახით დიდი იმედი დაიკარგა შენი თანასოფლელებისთვის. ჩვენთვის ძმასავით იყავი, წახვედი და ერთგული ადამიანის სახელი დატოვე. დიდხანს ედექი თავკაცად სამსახურს, თუმცა შენს დამსახურებებზე ლაპარაკი არასოდეს გიყვარდა.

2 აპრილს ერთი წელი გახდება, რაც ჩვენი ცხოვრების გზები გაიყარა. ამ დღეს მოვალთ შენს საფლავთან, მოვიტანთ ყვავილებს, აგინთებთ წმინდა სანთლებს და ღმერთს შევავედრებთ, ნათელში გამყოფოს და მსუბუქი იყოს შენს გულზე დაყრილი შენი საყვარელი ლაგოდეხის მიწა.

ბესო და სპარტაკ
ზალდასტანიშვილები
ქ. დედოფლისწყარო

არხილოსკალოს საჯარო სკოლის დირექცია და დირექტორი ნათელა ბუთხუზი ღრმა მწუხარებით იუწყებიან ამავე სკოლის მეთერთმეტე კლასის მოსწავლის

პავლე წიკლაურის

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებენ გარდაცვლილის ოჯახს.

არხილოსკალოს საჯარო სკოლის დირექცია და დირექტორი ნათელა ბუთხუზი ღრმა მწუხარებით იუწყებიან ამავე სკოლის მეთერთმეტე კლასის მოსწავლის

პავლე წიკლაურის

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებენ გარდაცვლილის ოჯახს.

მეუღლე ოლიკო ათანელიშვილი, შვილები თინიკო, ეკა, რუსუდანი; სიძეები ვალერი ბენაშვილი, გიორგი ლოლაშვილი, ნოდარ თევდორაძე, შვილიშვილები: მზიკო ბენაშვილი, გიორგი ლოლაშვილი, გიორგი თევდორაძე იუწყებიან

ელგუჯა ათანელიშვილის

გარდაცვალებას. დაიკრძალა 24 მარტს ქ. დედოფლისწყაროში.

მეზობლები: გივი ლომიძე, ალავერდა ნასრაშვილი, ნაზი მოსაშვილი, ალიკა სულაშვილი თანაგრძნობას უცხადებენ დალი და ნოდარ რობიტაშვილებს დედის

ქეთევან რობიტაშვილის

გარდაცვალების გამო.

„ნიჭიერი“ დაიწყო – უგულშემატკივრეთ ანსამბლ „შირაქის“ მოცეკვავეებს

ყველაზე პოპულარული ქართული სატელევიზიო შოუ „ნიჭიერი“ „რუსთავი 2“-ის პირდაპირ ეთერში 19 მარტიდან დაიწყო. პროექტის მესამე სეზონში მონაწილეობას დედოფლისწყაროს ქორეოგრაფიულ ანსამბლ „შირაქის“ პატარა თაობის მოცეკვავეებიც იღებენ.

გაზეთი „შირაქი“ უკვე წერდა, რომ დედოფლისწყაროს ქორეოგრაფიულ ანსამბლ „შირაქის“ მოცეკვავეებმა პროექტ „ნიჭიერის“ შესარჩევი და მეორე ტურები კვლავაც წარმატებით გადალახეს. გადაღებები 5 თებერვალს შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის დარბაზში გაიმართა. მოცეკვავეები ფართო აუდიტორიის წინაშე დედოფლისწყაროს სახელით გამოვიდნენ.

მათ ჟიურის წინაშე 2,5 წუთი ხანგრძლივობის ნომერი შეასრულეს. სცენაზე გატანილი იყო ცეკვა „მთიულური“, რომელიც 25-მა ბავშვმა შეასრულა. ანსამბლს ტრანსპორტირებაში დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობა დაეხმარა. ჟიურის რეაქციებსა და შეფასებებზე ანსამბლის წევრებს ვესაუბრეთ:

„დილის ათი საათიდან სხვადასხვა სახის სარეკლამო გადაღებებზე ვიყავით, ყველა მონაწილეს ცალკ-ცალკე იღებდნენ. ეს ტური წარმატებით დავძლიეთ და საბოლოო ჯამში ჯიურის სამივე წევრის „კი“ მივიღეთ. გეგას და სოფოს დადებითი კომენტარის შემდეგ ბოლო და გადამწყვეტი სიტყვა ვანო ჯავახიშვილმა თქვა და დაამატა — „ამ ჟანრში ძალიან ბევრი მოღვაწეობს, მაგრამ თქვენ შეძელით, განსაკუთრებულები ყოფილიყავით. ოთხი კი გაქვთ დარბაზის ჩათვლით, რადგან მთელი დარბაზი ფეხზე დგასო“. სოფო ნიჟარაძემ აღნიშნა — „ძალიან მოკლე დროში შეძელით შესაძლებლობების საუკეთესოდ წარმოჩენაო“... იყო სიხარულის ყიჟინაც და ინტერვიუები,“ — აღნიშნავს ანსამბლ „შირაქის“ ხელმძღვანელი ალექსი გაბრიელაშვილი.

პატარა მოცეკვავეები მომავალ ტურში ახალ ნომერს წარმოადგენენ. შემდეგი ტურიდან ჟიური ფინალისტებს შეარჩევს. ანსამბლის ხელმძღვანელს მომდევნო ნომერი ამ ეტაპზე შერჩეული არ აქვს. ანსამბლში ვარაუდობენ, რომ სამომავლოდ ფარიკაობას მოამზადებენ, ოღონდ განსხვავებულად დადგმულს.

გაბრიელაშვილი გაკვირვებულია, რატომ დატოვა იმ მოსწავლეების ნაწილმა ანსამბლი, რომლებიც „ნიჭიერში“ მონაწილეობის მისაღებად არ გაიყვანეს.

ალექსი გაბრიელაშვილი, ანსამბლიდან რამდენიმე მოსწავლის წასვლით და მშობლების მიერ დაფიქსირებული პოზიციით უკმაყოფილოა. მისთვის გაუგებარია, ამხელა წარმატებების ფონზე, რატომ დატოვა იმ მოსწავლეების ნაწილმა ანსამბლი, რომლებიც პროექტ „ნიჭიერში“ მონაწილეობის მისაღებად არ გაიყვანეს.

„ვერ გამიგია ამ ხალხის, ამხელა წარმატებების შემდეგ, როცა ანსამბლი „შირაქი“ პოპულარული ხდება ქვეყნის მასშტაბით და არა მარტო ქვეყნის, (თუმცა არც აქამდის აკლდა პოპულარობა), იმის მაგიერ, რომ იამაყონ ანსამბლსში ყოფნით, გადადიან სხვადასხვა ეგრეთწოდებულ ცეკვის წრეებში, განაწყენებულნი იმიტომ, რომ ვერ მოხვდნენ იმ მცირე ნიჭიერთა შემადგენლობაში, რომლებმაც მოუტანეს ანსამბლს ეს დიდი წარმატება. მინდა ყველა მშობელს შევახსენო, რომ ყველას ერთნაირად ვასწავლი ქართულ ცეკვას, მაგრამ ზოგი მალე ითვისებს, ზოგიც გვიან. მე მგონი მქონდა იმის უფლება, რომ ამომერჩია ყველაზე ნიჭიერები და („რუსთავი 2“-ის პროექტში) ისინი წამეყვანა. ამ ყველაფერს იმიტომ ვწერ, რომ მეცოდებიან ის ბავშვები ვინც ჩემიდან გადაჰყავთ „უნიჭო“ მშობლებს, მე არფერი მომაკლდება, რადგანაც იმათი ადგილები უფრო ნიჭიერ მაბავშვებმა უკვე შეავსეს,“ — ეს განცხადება ანსამბლის ხელმძღვანელმა სოციალური ქსელით გაავრცელა, რასაც ინტერნეტ სივრცეში დისკუსია მოჰყვა.

ანსამბლ „შირაქის“ „ნიჭიერში“ წარმატებულად მონაწილეობის შესახებ ინფორმაცია თავდაპირველად გაზეთმა „შირაქმა“ ექსკლუზიურად გაავრცელა. ქართულ ტელესივრცეში „ნიჭიერი“ ერთ-ერთ ყველაზე პოპულარულ და სახალხო პროექტად რჩება.

ილია მარტყოფლიშვილი

ულოცავენ!

ვიოლეტა ნატროშვილს!

გილოცავთ დაბადების დღეს, გისურვებთ ჯანმრთელობას, ბედნიერებას. წარმატებები იყოს თქვენი თანმდევი როგორც პირად, ისე პროფესიულ ცხოვრებაში. სულ ასეთი მშვენიერი და ენერგიით აღსავსე ყოფილიყავით!

პატივისცემით,

სოფელ ოზაანის ამგულატორიის თანამშრომლები.

რუსუდან ლაპიაშვილს!

ჩვენი დიდი ოჯახის სახელით გილოცავთ დაბადების საიუბილეო თარიღს! ჯანმრთელობა, სიკეთე და სიყვარული იყოს შენი მეგზური. არასოდეს მოჰკლებოდეს შენს ოჯახს უფლის წყალობა, გფარავდეთ მისი ძალა და მადლი. გამრავლდით და გაიხარეთ!

ცეკურო და გოდერძი

ციცინო დარჩიაშვილს!

ჩვენო ძვირფასო ციცო, გილოცავთ დაბადების დღეს, გისურვებთ ჯანმრთელობას, მხნეობას და გახარებას თქვენს ოჯახთან - შვილებთან, რძლებთან, შვილიშვილებთან ერთად. იყავით ბედნიერი და ჩვენი კეთილდღეობისათვის ყველა სიძნელის გადასალახავად იბრძოლეთ ისე, როგორც დღემდე.
გმადლობთ, ჩვენზე ზრუნვისა და ამაგისათვის.

სათნოეგის სახლის ბენეფიციარები.



ამირან ბილიაშვილს!

დაბადების დღეს გილოცავ, მამა! 85 წელი თითქმის მთელი საუკუნეა. დღესაც ისეთივე მხნე და შრომისმოყვარე ხარ, როგორც წლების წინ. გულწრფელად მშურს შენი ახალგაზრდული მეხსიერების, მუდმივად ახლის შეცნობის სურვილის, ყველაფრის ვაჟკაცურად ატანის და გატანის უნარის.
გისურვებ ჯანმრთელობას, მზეგრძელობას. შენს შვილებთან და შვილიშვილებთან ერთად მრავალი ლამაზი დღის გატარებას. მრავალ ახალ ლექსს და ჭადრაკის საუკეთესო პარტიას. მიხარია, რომ ჩემი მამა ხარ და მე კი შენი ჯიშის და გენის გაგრძელება.

„იუავ, იცოცხლე, ნუ შეიცვლები,
დარჩი მშვიდი და ბრძენი
ვამაუობ, დედის გულს გეფიცები
და ვიამაყებ შენით!“

შენი ლელა.

პატივცემულო ამირან, ჩვენთვის ძვირფასო და სანიმუშო ადამიანო, გულწრფელი სიყვარულით და პატივისცემით გილოცავთ დაბადების 85 წლისთავს. იყავით ჯანმრთელი, მხნე და ბედნიერი შვილებთან, შვილიშვილებთან და ახლობლებთან ერთად. თქვენ ხართ ადამიანი, რომელსაც ამ ხანგრძლივი ცხოვრების გზაზე უკან მოხედვის არ გრცხვენიათ, რადგან ერუდირებულს, შრომის მოყვარეს, მოწესრიგებულს, პროფესიონალს და პუნქტუალურს მუდამ წარმატებული მდგომარეობა გქონდათ. ჩვენ დღესაც გვახსოვს თქვენი ამაგი და თქვენი ხელმძღვანელობით გატარებული ნაყოფიერი შრომის სასიამოვნო და ხალისიანი წლები. გმადლობთ ყველაფრისათვის.

ყოფილი სოციალური უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომლები:
მარინა კაკალაშვილი, თამრიკო ღოლაშვილი, მაია ალადაშვილი, ლამარა ჭიჭინაძე, ნათელა ალუღიშვილი, რუსუდან ღავთაძე, გელა და ციცინო ქადაგიძეები, მაყვალა პაპუაშვილი, ნინო ტოკლიკიშვილი, ლია გონაშვილი.

უხვი მოსავალი — ნაკლები ხარჯი

თხევადი ორგანული სასუქი „ორგანიკა“

თხევადი ორგანული სასუქი „ORGANIKA“ არის ქართული წარმოების ერთადერთი სასუქი, რომელსაც მოპოვებული აქვს ევროკავშირის ბიო სერტიფიკატი. 2011 წელს მიჩნეულ იქნა საუკეთესო ბიოინოვაციად. მიენიჭა ხარისხის ნიშანი QC100 და ლონდონის გალა ცერემონიაზე დაჯილდოვდა საერთაშორისო ხარისხის ოქროს გვირგვინით. „ორგანიკა“ ოფიციალურად დაშვებულია ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტების მოსაყვანად როგორც საქართველოში, ასევე ევროპის ქვეყნებში.

სასუქი განსაკუთრებით ეფექტურია ორგანულ მეურნეობებში და გამოიყენება ისეთი კულტურების მოსაყვანად, როგორიცაა:

- **ვაზი**
- **სიმინდი, ხორბალი, მზესუმზირა და სხვა მარცვლოვანი კულტურები**
- **თხილი და მრავალწლიანი ნარგავები**
- **საზამთრო, ნესვი, მარწყვი და ბაღჩეული**
- **მწვანილი, ხახვი, ნიორი და სხვა ბოსტნეული**
- **კივი, ლიმონი, მანდარინი და სხვა ციტრუსები.**

მოხმარების კონკრეტული წესების შესახებ ინფორმაციის მისაღებად და სასუქის შესაძენად (1 ლიტრი — 6 ლარი) შეგიძლიათ მიმართოთ კახეთის თითქმის ყველა რაიონსა და სოფელში მდებარე შხამქიმიკატების მაღაზიებს და სხვა სარეალიზაციო პუნქტებს. ასევე, შეგიძლიათ დაგვიკავშირდეთ ნომრებზე:

www.organica.ge

5(99) 14 28 57,
გურჯაანი: 599 33 40 20
თელავი: 599 54 64 92
საგარეჯო: 577 95 58 46
სიღნაღი: 599 96 55 28; 599 64 79 14
დედოფლისწყარო 599 799 399

სუფთა მიწა — ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტი

ამინდი — დედოფლისწყარო

	შაბათი 24.03		კვირა 25.03		ორშაბათი 26.03		სამშაბათი 27.03		ოთხშაბათი 28.03		ხუთშაბათი 29.03		პარასკევი 30.03	
	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე
	10°	1°	11°	3°	6°	4°	7°	2°	1°	1°	7°	5°	7°	6°

გამომცემელი შპს „შირაქი“
დირექტორი ინგა შიოლაშვილი

რედაქტორი ნაირა გორაშვილი-პოპიაშვილი

წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ლალი მეხრიშვილი, ილია მარტყოფლიშვილი (კორესპონდენტები); მიხეილ ძლეგრიშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ნათელა ბოსტაშვილი (ბუღალტერი); ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი); მზია ქენქაძე (დისტრიბუტორი); ზურაბ ბუწაშვილი (კომპიუტერული უზრუნველყოფა).

გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე.
დაიბეჭდა შ.პ.ს „საარის“ სტამბაში

რედაქციის მისამართი: ქ. დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18,
ტელ. 8 356 22 55-49;
598 72-18-72 (დირექტორი)
599 25-17-44 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს მიერ, №6014-468.

C M Y K